№ 12 | ფასი 25 კაპ. | ივნისის 1 | 1925

1910 — ხუთმეტი—XV—წლისთავი — 1925

საიუბილეო № ა.

იოსებ იმედაშვილი

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქტორ-გამომც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი და ცხოვრება“-ს ზრდა

(დაახლოვებით)

1910 წლიდან 1925 წლამდე



1910 წ. № 1. (2 ივნ.) შინაარსი:

1. **მეთაური** (იოსებ იმედაშვილისა)—ჟურნალის მიზანი.
2. **ი. გრიშაშვილი**—ვაშა, ახალ სხივს!
3. **ივ. გომართელი**—ლეონიდ ანდრეევი.
4. **ა. შანშიაშვილი**—შენ მეძახოდი...
5. **ექიმი შტოკმანი** (იოსებ იმედაშვილი)—ყოფნა არ ყოფნა.
6. **გ. ტაბიძე**—მსახიობ ქალს.
7. **ნარვილი**—დრამის მოკლე ისტორია.
8. **ი. მჭედლიშვილი**—* * *
9. **ლევ. მეტრეველი**—სიტყვა-კაზმულ ნაწარმოების საგრთო დათასება.
10. **დ. ნ.**—ქართული თეატრის ისტორიიდან.
11. **ს. გლახაშვილი**—ჩვენი მსახიობი (მოთხრობა).
12. **დ. ნახუცრიშვილი**—დღესასწაული (დრამ. სურ.)
13. **ჭინკა** (იოსებ იმედაშვილი)—საახალწლო—!?
14. **ბიჭი-ბიჭი** (ვასო ურუშაძე)—გეილოკა გურულმა.
15. **ბიჭი-ბიჭი** (ვასო ურუშაძე)—ფილოსოფიური ლექცია.
16. **ჭიტა** (იოსებ იმედაშვილი)—სადღესასწაულო მოგზაურობა.

სურათები: გ. ერისთავი, ლეონიდ ანდრეევი, პირველი ქართული დრამატიული დასი, დ. ნახუცრიშვილი; შარჟი: ჩვენებური საქმიანობა.

ამ საიუბილეო ნომრის სარედაქციო კომისიისგან:

ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო, ეს ნომერი ისე ვერ გამოდის, როგორც განზრახული იყო. ამავე მიზეზით საიუბილეოდ მიღებული ყველა მასალა ამ ნომერში ვერ მოთავსდა. ამიტომ მოკლე ხანში გამოვა საიუბილეო № 8, რომელშიაც მოთავსდება გადარჩენილი მასალა. 15 წ. განმავლობაში ყოფ. თანამშრომელთა სურათებიდა სხ.

თეატრი და ცხოვრება

1910—1925 წელიწ. XV

№ 12 (368)

ფასი 25 კ.

ყველაფერი ადამიანური ჟურნალი

ფასი: ერთ ნომერი 10 მან., ნახევარ წელიწადი—6 მან. ფულის შეტანა მოხდება ნაწილ-ნაწილ შემდეგ ფასად. წლიური ხელის მოწერა: ფოთლებენ პრემიად: ალექსანდრ პიესების კრებულს „ცხოვრების სარკე“-ს 4 ფიგნს.

 редакцияის მისამართი: ბულვარ-ბულსთველის პრ., № 34

„თეატრი და ცხოვრება“,

იოსეფ იმედაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეატრი, პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, ქანდაკება, საზოგადოებრივი ცხოვრება

დაარსდა 1910 წ. | ივნისის 1 | გამოსცემს 1925 წ.

„თეატრი და ცხოვრება“

უდიდესი სიყვარული, უძლიერესი რწმენა და მედგარი ბრძოლა,—აი რა ახასიათებდა „თეატრი და ცხოვრება“-ს მთელი თხუთმეტი წლის განმავლობაში. ღრმა იყო და დიდი სიყვარული ქართული ხელოვნებისადმი. მრავალი დაბრკოლება ელობებოდა წინ, მაგრამ მას შეუდრეკლად სწამდა ჩვენი ხელოვნების ბრწყინვალე მომავალი და თავისი მოწოდება. ამიტომ ის ებრძოდა ყოველგვარ დაბრკოლებას და მიიწევდა წინ.

ასეთი იყო „თეატრი და ცხოვრება“ თხუთმეტი წლის განმავლობაში. ასეთია ის დღეს.

ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრი რამ გაწიცადა ჩვენმა ცხოვრებამ, ბევრი ცვლილება მოხდა, ბევრი ჟურნალი მოისპო და ჩაიძირა დავიწყების ზღვაში.

„თეატრი და ცხოვრება“-კი მედგრად განაგრძობს ერთხელვე არჩეულ გზას და არასოდეს არ დასჭირვებია გადახვევა იმიტომ, რომ მისი გზა იმ თავიდანვე სწორი იყო: მას მიაქვს ხელოვნების ლამპარი მშრომელ ხალხში და მთელი მშრომელი ხალხი მიჰყავს ხელოვნების ტაძარში.

„თეატრი და ცხოვრება“ მუდამ ემსახურებოდა მხოლოდ მშრომელ ხალხს და ამ ხალხის დროშა მუდამ მაღლა ეპირა.

ხელოვნება მშრომელი ხალხისათვის,—აი რა იყო მისი მიზანი.

„თეატრი და ცხოვრება“ მუდამ ებრძოდა მეფის რეჟიმს, ყოველგვარ მონობასა და ძალადობას; მისი მიზანი იყო თავისუფალ ერთა ძმური კავშირი და მშრომელი ხალხის მმართველობა.

ამიტომაც აფრიალდა თუ არა რევოლუციის დროშა, იმის ფურცლებზე მძლავრად ამბაურდა თავისუფლების, მშრომელი ხალხის ერთობისა და ბატონობის მოწოდება.

„თეატრი და ცხოვრება“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ქართული თეატრის ბედიღბალს და შეძლებისდაგვარად აშუქებდა ჩვენი თეატრის საჭირბოროტო კითხვებს.

თავისი ქადაგებით, მოწოდებითა და წაქეზებით მან მძლავრად შეუწყო ხელი თეატრის საძირკველის ჩაყრასა და გამაგრებას ჩვენს დაბა-სოფლებში.

„თეატრი და ცხოვრება“ მუდამ ფხიზლად იდგა თხუთმეტი წლის განმავლობაში მშობელი ერის ინტერესთა სადარაჯოზე და ამავე დროს მას ღირსეულად ეპყრა ხელთ ინტერნაციონალური დროშა, მქადაგებელი იყო ძმობისა და თანხმობისა და განსაკუთრებულს ყურადღებით ეპყრობოდა როგორც მეზობლების ხელოვნებას, ისე მათ მოღვაწეებს ხელოვნების ასპარეზზე.

„თეატრი და ცხოვრება“ თხუთმეტი წლის განმავლობაში საყვარელი თავშესაფარი იყო ახალგაზრდა მწერლებისა და მასავით ტკბილად, გრძნობითა და თანაგრძნობით არავინ არ უხვდებოდა მათ.

კერძოდ ჩემთვის „თეატრი და ცხოვრება“ განსაკუთრებით საყვარელია: სიმართლისათვის დევნილს ბევრჯერ შემიფარებია მისთვის თავი და ჩემი გულის მესაიდუმლე მხოლოდ ისა ყოფილა ამ დროს.

„თეატრი და ცხოვრება“-სთან შეკავშირებულია იოსებ იმედაშვილის სახელი.

მე მუდამ მაკვირვებდა სიმტკიცე და სიმხნე ამ ადამიანისა, რომელიც მთელი ამოდენა წლების მანძილზე ჭიზდავს ამ მძიმე ტვირთს და დაღლა არ ემჩნევა.

განა ბევრმა იცის, რომ სულ ხშირად იოსებ იმედაშვილი ყოფილა ამ ჟურნალის თანამშრომელი, მისი ასოთამწყობი, კორექტორი, დამკეცავი, დამტარებელი?

იოსებ იმედაშვილი მშრომელი ხალხის შვილია, იმის უბეში აღზრდილი და ცოცხალი მაგალითია იმისი, თუ რა შეუძლია საქმის სიყვარულითა და მომავალის რწმენით შეიარაღებულ ადამიანს.

„თეატრი და ცხოვრების“ „დღესასწაული ამავე დროს არის იოსებ იმედაშვილის დღესასწაული; მან გადაჭლახა დაცინვა, დამცირება, აბუჩად აგდება, გულცივობა, გაჭირვება, დევნა და სწორედ არარაობიდან შეჰქმნა ყოველივე: თვითონ მშიერი იყო, ჟურნალს კი არაფერს აკლებდა და ასაზრდოებდა.

ვაშა „თეატრი და ცხოვრება“-ს!

ვაშა იოსებ იმედაშვილს!

ვაშა იმ მშრომელ ხალხს, რომელსაც პირნათლად ემსახურება ორივე ერთად თხუთმეტი წლის განმავლობაში.

ივ. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმედაშვილი

15 წელია მას შემდეგ....
პირველ ნომერში პირველ გვერდზე....
თითქოს გუშინ იყო.

ცოცხლად მახსოვს ქართ. დრამატიულ საზოგადოების კანტორა, სადაც იმედაშვილს,—როგორც ამავე საზოგადოების მდივანს,—რედაქცია ჰქონდა.

პირველ ნომერში პირველ ფოთოლზე ლექსი. მისალმება. ხალისი. ატაცება. მართალია ის ლექსი არ შესულა ჩემი ლექსების დავთარში, მაგრამ მე მაინც სიამოვნებით ვიგონებ.....

იმედაშვილი ზეინკალი, იმედაშვილი მამასახლისი, იმედაშვიილი ასოთამწყობი, ბუკინისტი, გამომცემელი, მხედარი, პოეტი, ბელეტრისტი, დრამატურგი, მსახიობი, სუფლიორი, რეჟისორი, რედაქტორი და დასასრულ—მოლექსიკონე.: რომელი ერთი ჩამოთვალოს კაცმა!.....

სახალხო სახლის იუბილეის დროს არ ყოფილა არც ერთი მიმლოცველი, რომელსაც სოსო არ ეხსენებინოს, როგორც პირველი რეჟისორი და მდაბიოთა მოამაგე. სახალხო სახლის ისტორია უიმისოდ ვერ დაიწერება.

დღეს იმედაშვილი ყველაფერში დილეტანტია: მისი ხალხური ნიჭი და ენერგია შეისრუტა ხელოვნების სხვადასხვა დარგმა.... შეიძლება ეს იყოს მისი ღირსება.

რაც შეეხება მის ჟურნალს, უნდა ითქვას, რომ მას აქვს ერთი დადებითი მხარე: იგი ყველა ახალგაზრდას აძლევს „ფართო გზას" არ ყოფილა არც ერთი თვალსაჩინო პოეტი, რომლის „პირველი სიხარული" ეს ჟურნალი არ ყოფილიყოს....

შეიძლება „თეატრი და ცხოვრება" არ იყოს დაწურული მასალების ყუთი, მაგრამ ყოველთვის კი სიამოვნებით იკითხება. შეიძლება ხანდისხან მისი ჟურნალი—ლიტერატურულ ნაირობას წარმოადგენდეს, მაგრამ განა წალკოტში ყველა ყვავილი სურნელობს? მარტო ის რად ღირს, რომ ამ ჟურნალს ბევრი აუცილებელი მქირდავი ჰყავს: ზოგი აქებს, ზოგი აგინებს, მაგრამ მაინც მის „თეატრს" ყველა ხალისით ნახულობს და მის „ცხოვრებას" ყველა თვალყურს ადევნებს.

მე, როგორც ძველი წიგნების ჩრჩილს, უსპეტაკესად მადლიერი გრძნობა უფრო მაშინ მაქვს გულში, როცა მის ფურცლებზე წერილებს ვკითხულობ, რომელიმე გარდაცვლილ ჩვენ მუშაკზე: სხვა ჟურნალები ყურადღებას არ აქცევენ ჩვენი ლიტერატურის კუნძულებს, იმედაშვილს კი უყვარს ყველა „გამოჩენილი და დავიწყებული", რომელთაც ერთ დროს დიდი ამაგი მიუძღოდათ საზოგადო ასპარეზზე.

ჩემის აზრით ჟურნალის დამსახურება იმაშიც მდგომარეობს, რომ მას ერთი კაცი უძღვება თავის ქესატი ქისით და 15 წლის განმავლობაში სისტემატიურად გამოდის თავისი ტრადიციებით დატვირთული.

დეე, ნუ იქნება ეს ჟურნალი აკადემიური, დეე, დარჩეს ისეთივე, როგორიც აქამდე იყო.

„თეატრი და ცხოვრება" გვხიბლავს უფრო თავის ნაკლულოვანებით.

ი. გრიშაშვილი

„თეატრი და ცხოვრება"—იოსებ იმედაშვილი

იოსებ იმედაშვილი გავიცანი 22 წლის წინათ. მაშინ „თეატრი და ცხოვრება" არ იყო. სამაგიეროდ იყო „ცხოვრების სარკე", „უცხო სიტყვათა ლექსიკონი" და მრავალი სხვადასხვა ნაწერი, გაბნეული წიგნაკებსა და ჟურნალ-გაზეთებში.

ეხლაც იმედაშვილს რომ დავინახავ ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუნებურად მაგონდება ქვაშვეთის ქუჩა, ბუკინისტების რიგი და იმ რიგში ერთი პაწაწა ქოხი. იმ ქოხში ზაფხულში უფრო ცხელა, ხოლო ზამთარში უფრო ცივა ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიჟრაჟიდან დაღამებამდის თავჩაღუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს. ვითომ წიგნებითაც ვაჭრობს, მაგრამ... მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან და ხელს უშლიან. ხოლო მუშტრისთვის სოსოს არ სცალიან, ამიტომ არც მუშტარს სცალიან ახირებულ „ვაჭრისთვის." მუშტარი რომ შემოვა, უცნაური „ვაჭარი" და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს, პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისთვის სცალიან. თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურის წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდე წუთში გადაჰყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჯდება ქაღალდებს. როცა დაღამდება, დუქანს დაჰკეტავს და, ქუდმოგლეჯილი, იორღით მირბის სახალხო სახლში ან მურაშკოს თეატრში—ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუაღამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში. ეხლაც არ ვიცი, რამდენს იძინებდა, ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაულალავი ადამიანი! ან იძინებდა ოდესმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც?

გავიდა ხანი. ქალაქი სოფელზე გასცვალა. ერთმანერთს მოვწყდით. მე უცხოეთში გარდავიხვეწე. 1910 წ. ბედმა კვლავ შეგვახვედრა ერთმანერთი... მეტეხის ციხეში. მერე ისევ დაგვაშორა. მაგრამ, სადაც უნდა ვყოფილიყავი, შორიდანაც ვხედავდი მუდამ მქროლავ იოსებს და მესმოდა ხმა მისი შეუწყვეტელის შრომისა. 1923 წ. დავუბრუნდი 15 წლის წინათ შეწყვეტილ საქმეს—ბელეტრისტობას. კალამი ძლივს ავიღე ხელში, რომ ისევ შეიყარნენ ჩვენი გზები: იოსებმა წინ გადამეღობა, წარსული მომაგონა და თვისი „თეატრი და ცხოვრება" გამახსენა. მე ხალისით მივეცი ორიოდე ნაწყვეტი. არც შემდეგ მოვაკლებ ჩემს თანაგრძნობას და სუსტს ძალღონეს, რადგან, ჩემის ღრმა რწმენით, იოსებ იმედაშვილი და მისი ჟურნალიც მხნედ და პირნათლად ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს. კულტურის ბელადობა არავის მოეთხოვება. ხოლო ყველანი მოვალენი ვართ გავაკეთოთ იმდენი, რამდენსაც აიტანს ჩვენი ძალღონე. ამ მხრივ იმედაშვილმა საზღვარს გადააჭარბა: გასაოცარია მისი მხნეობა, შრომის უნარი და უშრეტელი ენერგია. საქართველოში კი შრომა ყველაფერია, ან თითქმის ყველაფერია.

გარდა ამისა, „თეატრი და ცხოვრებამ" ჰქრმა შეიფარა კარგი ქართული, ე. ი. ნამდვილი სახალხო ენა—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისეთივე უბრალო, მკაფიო და მარტივი, როგორც ჩვენი ხალხის სული. ესეც დიდი სამსახურია.

ერის კულტურა მარტო აკადემიურ კულტურისაგან არ შესდგება. იგი გაცილებით უფრო რთულია და მრავალმხრივი, ვიდრე ზოგს ჰგონიან. ამ მხრივაც „თეატრი და ცხოვრება“ თავისს საქმეს პირნათლად ასრულებს.

კინაღამ დამავიწყდა: იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსეთიდან რომ დავბრუნდი,—ვაღიარებ ჩემს სირცხვილს!—ქართული თითქმის დავიწყებული მქონდა. ბედმა იმედაშვილის წიგნის დუქანში შემიყვანა. მოვითხოვე ქართული წიგნები. ერთმანერთს გამოვემცნაურეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გავხდი მისი დუქან-სამკითხველოსი. სანამ „ცნობის ფურცელში“ დავიწყებდი მუშაობას, ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გამგზავნა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში.

მიხეილ ჯავახიშვილი

რითი სულდგმულობს „თეატრი და ცხოვრება“

წრფელის გულითა და სინიდისით მივულოცავ უპატივცემულესი ჟურ. **„თეატრი და ცხოვრების“** რედაქციას სალიტერატურო ასპარეზზე მოღვაწეობის 15 წლის შესრულებას.

საქართველოში 15 წლის განმავლობაში სალიტერატურო ორგანოს არსებობა—ეს ზღაპრათ თუ ითქმება, თორემ სინამდვილეში არ მომხდარა ეს ამბავი. მართალია, ილია ჭავჭავაძის „ივერია“-მ იარსება 25 წელიწადი. მარა ნუ დაივიწყებთ იმას, რომ მან განიცადა კვირეული, თვიური და დღიური გამოცემა, ერთი ამხანაგობის ხელიდან მეორე ამხანაგობის ხელში გადასვლა და, რაც უფრო საყურადღებოა, ბანკში დაგირავებულ მამულების განცხადებანი უმაგრებდა გაზეთს ზურგს, თორემ ილია თავის ჯიბიდან გაზეთის გამოცემაზე ერთ გროშსაც არ დახარჯავდა. ის ასეთი პრინციპის კაცი იყო: ორგანომ თვისი ხარჯები და გასავალი თვითონ უნდა დაფაროს თვისი შემოსავალითო.

აქ, ამ პატარა წერილში, მინდა აღვნიშნო, ორიოდე სიტყვით, რომ ჟურ. „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორს—იოსებ იმედაშვილს არ დაუზოგავს თვისი შრომა, ენერგია, ნიჭი და მეცადინეობა ჟურნალის წესიერათ წარმოებისათვის და ცოლშვილით დატვირთული კაცი, მარტო და მხოლოთ ამ ერთი დიდი საზოგადო საქმით იყო ჩაყლაპული. მთელი 15 წლის განმავლობაში, ქართული სერიოზული პერიოდული გამომცემა აწარმოვა მეტისმეტად სუფთათ, ფაქიზათ ძველი რეჟიმის და მენშევიკების დროსაც ისე, რომ არ მიუღია იმათგან სუფსიდიები და დახმარებანი. ამ დიად საქმეში იყო ჩაბმული მხოლოთ და მარტო ერთად **ერთი კაცის პირი, ინიციატივა და გამოცდილება.** და საკვირველი ისაა, რომ ეს კაცი იყო სრულიად უცნობი და დაბალი, ჩვენი, დემოკრატიის წრიდან გამოსული, რომელსაც საქართველოში, ფეოდალთა საქართველოში, მოელოდა სრული განადგურება.

ძველი რეჟიმის მტარვალმა მთავრობამ ბევრი ტანჯვა და წამება მიაყენა კიდეც ამ ჟურნალის რედაქტორს, მარა იგი, როგორც უძველესი ალბანეთის ფოლადივით მაგარი მამაცი შვილი, ვერ მოხარა და გასტეხა ამ საშინელმა წამებამ და გაასკეცებული შრომითა და მდუღარე გრძნობებით შეუდგა თავის ერთხელვე აჩემებულს საყვარელს საქვეყნო საქმეს. ჭეშმარიტათ, ქაჯეთის ციხის აღებას უდრის ამ ერთადერთი კაცის საქვეყნო სამსახური და ღვაწლი...

ამ 15 წლის განმავლობაში, არ იყო გასაცვიფრებელი საერთაშორისო დიდი ომი, რომელმაც გაანადგურა მთელი საქართველოს არე-მარე და ზედიზედ თავზე დამტყდარმა მოუსავლობამაც სულ ერთიანად დაამშია ჩვენი ქვეყანა, საზღაპროთ გააძვირა ჟურნალ-გაზეთების საბეჭდი ქაღალდი, ბეჭდვითი სიტყვის და, საზოგადოთ, სტამბებში სამუშაო საქმეების წესიერი მიმდინარეობა საშინლათ არივ-დარია. ასოთ-ამწყობთა შიმშილიც გამოიწვია ჯარისკაცთ ყოველდღე გაწვევის საქმემ...

საკვირველია, პირდაპირ გასაცვიფრებელიც, ასეთ წელიწადებში, რატომ სხვასავით არ მიხურა ამ ჟურნალის რედაქტორმა—გაუტეხელმა კაცმა თვისი ჟურნალი და თავისით არ გაეცალა სალიტერატურო ასპარეზს?!

მიუცილებლათ, ერთადერთი ცხოველმყოფელი, სულის ჩამდგმელი წყარო, რომელიც იოსებ იმედაშვილის სალიტერატურო შრომას აძლევდა იმპულსს და ენერგიას, იყო ქართველი მკითხველის თანაგრძნობა და სიყვარული.

მინდა დავაჯერო გული, რომ ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს პატივცემული მკითხველი სამერმისოთაც დაეხმარება მას, რომ ეს სერიოზული ქართული ჟურნალი ნივთიერად ფეხზე დადგეს, და ეს კი ფრიად საჭიროა, რომ მის ღირსეულ რედაქტორს გზა სავალი გაუადვილდეს და მისი სალიტერატურო ორგანოც ნამდვილ, ჭეშმარიტ ევროპულ სალიტერატურო ორგანოს დაემსგავსოს.

ხომლელი.

ჩვენი მწერალ-ხელოვანნი „თეატრი და ცხოვრება“-ს შესახებ

პატივცემულო ბატონო იოსებ!

ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ თქვენ და თქვენი ჟურნალის შესახებ. რასაკვირველია, მე ვერ ვიკისრებ ჟურნალის ღირსება-ნაკლულოვანებაზედ ლაპარაკს, რადგან ღონე და ცოდნა არ მიმიწვდება საამისოთ. მხოლოდ მინდა მოგახსენოდ, რა იყო ჩემთვის თქვენი ჟურნალი და ან რამდენად უწყობდა იგი ხელს თეატრს და მსახიობებს. თქვენ იყავით ჩვენი თეატრის კეთილმყოფელი. სწორედ მაშინ, როცა ჩვენი თეატრის საქმე რაიმე მიზეზით შეფერხდებოდა ხოლმე, თქვენ თვით გაჭირვებული მატერიალურად, მაშინვე ჩვენთან გაჩნდებოდით. გვანუგეშებდით სიტყვით, სწერდით და უთითებდით ხალხს ჩვენს გაჭირვებაზედ. აღვიძებდით, ამხელდით საზოგადოებას, აყვედრიდით გულციობას. მეტადრე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თქვენ უფრო ხშირად უბედურების დროს იყავით ჩვენთან. მაგალითად: როცა ან ავად გაგვიხდებოდა ვინმე, ან მოგვიკვდებოდა რომელიმე მსახიობი.... და ეს ხომ ნამდვილი საზომია ადამიანის სიკეთისა: თუ უბედურებაში შენთან არის და თავი არ მოგარიდა.

ხშირად მომიკრავს ყური: „რა დამმართა მაგ კაცს, რატომ თავს არ ანებებს ამ ჟურნალის გამოცემასაო, როდესაც შეძლება ხელს არ უწყობს და მოკრეფილი ფულით აღორღიალებსო“, მაგრამ ის კი არ იცოდა ამისმა მთქმელმა, რომ იმედაშვილი ამ მოკრეფილი ფულით გამოცემული ჟურნალის შემოსავალს თვითონ კი არ იყენებდა პირადი გაჭირვების გასაუმჯობესებლად, არამედ ახმარებდა თავისთანავე გაჭირვებულებს. მაგალითად, გზავნიდა ჟურნალს მუქთად სხვადასხვა სოფელში, სადაც მოჰკრამდა ყურს, რომ სათეატრო საქმე ეწყობოდა, უგზავნიდა ადგილობრივ მსახიობებს, და ამით გვაძლევდა საშუალებას, რომ გვცოდნოდა, როგორ მიდის „სცენა“ ადგილებში სათეატრო საქმე, ან სად და ვინ გამოჩნდა აღსანიშნავი ნიჭის მქონე მსახიობი.

პირველად მე ჩემის მხრიდ ულრმეს მადლობას გიძღვნით უსასყიდლოთ რამდენიმე წლის განმავლობაში ჟურნალის მოწოდებისათვის.

გისურვებთ დღეგრძელობას, დაუღალავი ენერგიის შერჩენას, თვით ღარიბო, მაგრამ ყურმახვილო დარაჯო და მესაიდუმლევ ყველა გაჭირვებული საზოგადო მოღვაწისა

მარიამ საფაროვი-აბაშიძის

საჭიროა თუ არა „თეატრი და ცხოვრება“

2 იანვარს 1925 წელს შესრულდა 15 წელიწადი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობისა.

ყოველ იქვს გარეშეა სარგებლობა ისეთის ჟურნალისა, რომელიც ამ 15 წლის განმავლობაში ეხებოდა ხელოვნების ყოველ დარგს და ცხოვრების მიმდინარეობას ადგილობრივ, სოფლად და მომტეტებულად მუშათა შორის. ჟურნალი დაკვირვებული იყო გასულ და ეხლანდელ ცხოვრების მიმდინარეობას და შეძლებისადა გვარად აწვდიდა ცნობებს ყოველი მხრიდან ყველა მის მკითხველებს. ამ 15 წლის განმავლობაში ჟურნალს არც ერთხელ არ უღალატნია თავის პირდაპირ დანიშნულებისათვის.

ამ ბოლო ხანებში ასეთი ჟურნალის მოთხოვნილება უფრო მატულობს, რადგან მუშა-ხალხის შეგნებამ, გათვითცნობიერებამ და ცხოვრების დაკვირვებამ იმატა, შეიგნო თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლია ადამიანის გონების განვითარებაზე ხელოვნებას და ცხოვრების დაკვირვებას.

ბევრი ჭაპანწყვეტა აქვს გამოვლილი ამ 15 წლის განმავლობაში ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს და მის ხელმძღვანელს, მის სულისჩამდგმელს, ჭეშმარიტად უანგარო მშრომელს, იოსებ იმედაშვილს. ძალიან ხშირად უსახსრობისა გამო შეწყვეტილა ჟურნალის გამოცემა, მაგრამ იოსებ იმედაშვილის თავგანწირული შრომის წყალობით ისევ მალე განახლებულა და ისევ პირნათლად დაუწყვია მიმდინარეობა.

ეხლა, როდესაც ამ ჟურნალს შეუსრულდა 15 წელიწადი თავის სასარგებლო არსებობისა—ჟურნალის უახლოესი პატივისმცემელნი, თანამშრომელნი და მეგობარნი მოვალენი არიან ღირსეულად აღნიშნონ ეს დღესასწაული, რაოა მიეცეს მას საშუალება კიდევ უფრო ფართოთ გავრცელებისა და გაუმჯობესებისა, რადგან, ვიმეორებ, სარგებლობა ასეთის ჟურნალისა ყოველ ექვს გარეშეა.

ეფ. მესხი.

„თეატრი და ცხოვრება“ და მისი ხელმძღვანელი

15 წელიწადი საგამომცემლო უღელის წევა, თუნდაც ერთი ჟურნალის სახით,—ეს ხომ საკუთარი სიცხლის წვეთ-წვეთად გაშრობა არის გამომცემელისათვის, საქართველოში მაინც, თუ სხვაგან არა!

15 წლის განმავლობაში სულ ია ვარდიც რომ ჰკრიბო, ისიც კი მოჰქანცავს ადამიანს და „ჟურნალის გამოცემაზე ზრუნვა,—ეს ხომ საკუთარი ხელებით ნარ-ეკალის გლეჯა არის!

15 წელიწადია, რაც ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ გამოდის. ვის შეეძლო ამის ატანა ასე ობლად, თუ არა ისეთი უჯანი, ისეთი დაუდგრომელ-დაუღალავი, გამძლე და გამტანი ხასიათის და ამასთანავე თვისი ქვეყნის და ხალხისადმი სიყვარულით ძალა-შემოკრებილს ადამიანს, როგორიც იოსებ იმედაშვილია!

სამშობლო კულტურის აღორძინება, ხალხის გონებრივი თუ ქონებრივი წინსვლა ყოველ დარგში,—გადამეტებულად არ მიმაჩნია, რომ ვსთქვა,—მხოლოდ ისეთი ყაიდის მუშაკთაგან წარმოსდგება, როგორიც იოსებ იმედაშვილია.

სხვა იქნებ მეტი ძალით იყოს შეიარაღებული, მაგრამ იგი ამ მეტს არ ხმარობს ისე, როგორც ნაკლები ძალით სარგებლობს იოსებ იმედაშვილი.

შდაბიო ხალხის წიაღიდან გამოსული, თვისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დროს,—არა მარტო ჟურნალის-გამოცემაში,— ის ანვითარებს თავის თავს და ამავე დროს ამ ხალხს აწვდის თვისი ჟურნალის ფურცლებზე გონებრივ და სულიერ საზრდოს.

სწავლობს და ასწავლის!

და ასწავლა კი ძალიან ბევრსა.

აცნობინა თავი ადამიანად—ბევრსა.

წაახალისა, ამოადგმევინა ენა, შეაყვარა ხელოვნება და ხალხისათვის მუშაობა ბევრსა და ბევრსა.

ყველა ამას კი უნდოდა რკინის ხასიათი მისი ხელმძღვანელისა, საქმის სიყვარული და ამ საქმის სარგებლობის რწმენა და რწმენა!

წრფელი-ვულით ვულოცავ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება-ს“ 15 წლის ნაყოფიერ არსებობას, ხოლო მის ხელმძღვანელს იოსებ, ისეთსავე დაუშრეტელ ენერგიას ჩვენი ხალხის სასარგებლოდ შემდეგ მოღვაწეობაშიც.

ნინო ყიფიანი.

„თეატრი და ცხოვრების“ თხუთმეტის წლის იუბილეის გამო

თხუთმეტი წელი ეკლის გზით სიარული... ძველი რეჟიმი, კერძო გამომცემლობის სიმძიმე, ყველა ეს გადალახა „თეატრმა და ცხოვრებამ“ და გადალახა რითი, როგორ? შეხვდა მას უშრეტელი ენერგიის შესატყ. ჭირ-ვარამში გამობრძმედილი ხელმძღვანელი. ბევრჯელ შედრკა, შეტორტმანდა ცხოვრების ტალღებზე „თეატრი და ცხოვრება“, მაგრამ მისმა შესაქმემ ბევრნი იგი ტალღებზე და ეკლიან სწორ გზაზე დაიყენა. მან ბევრს შემოიხვია უკვე სახელმძღვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქილი მწერლები," ხალხის საყვარლები, მაგალითად ივ. გომართელი, გრიშაშვილი, შალვა დადიანი და სხვანი და სხვანი. „თეატრი და ცხოვრება„ მუდამ თავს ევლებოდა ქართულს თეატრს, ამ ჩვენს სალაროს, საუნჯეს, რომელიც შავდაუკულმა დრო-ჟამში შეიქმნა ქართველებისათვის ტაძარი ქართული სიტყვის, ქართული ზნე-ჩვეულებათა შესწავლის, გათვალისწინების. სად იყო სხვაგან ტკბილი ქართული, რუსთაველის ტკბილი სიტყვა; მისი უკვდავი სული ტრიალებდა უჩინრად ჩვენს თეატრში. „თეატრმა და ცხოვრებამ“ პირველმა აღძრა პროვინციაში თეატრების დაფუძნების საქმე. მართლაც მალე მოედო თეტრები პროვინციას. შემდეგ თანდათანობით პროვინციის თეატრი „თეატრის და ცხოვრების“ ხელის შეწყობით ზრდაში წავიდა, ამ ჟამად თითქმის ყველა დაბა-სოფლებში თეატრებია აგებული, სადაც დრო-დროზე იმართება წარმოდგენები.

„თეატრი და ცხოვრება“ კვალში უდგა ქართულ თეატრს; არც ერთი შესამჩნევი მომენტი ქართული თეატრისა და ჩვენი ცხოვრებისა უპასუხოდ არ გაუშვია. დროს მოთხოვნილებას ანგარიშს უწევდა. მუდამ შერჩეული იყო ნომრისათვის ცოცხალი მასალა, მკითხველის გამახალისებელი და საყვარელი. ამიტომაც არის ჩვენს ხალხს ძლიერ უყვარს „თეატრი და ცხოვრება“.

იდღეგრძელე საყვარელო ჟურნალო „თეატრო და ცხოვრებავ“ დიდხანს, ენახოს ქართველობას კიდევ შენი 30 და 40 წლის იუბილე!

ჩემი სალამი შენ, ახალი ძიებისაკენ მიმართულო! მაგრა დგეხარ ნიადაგზე;

მრავალ-ჟამიერ შენი სიცოცხლე, ჩემო საყვარელო „თეატრო და ცხოვრებავ“.

სოფრომ მგალობლიშვილი.

სალამი ჭალაროსან ჭაბუკს!

მარიჯან.

პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მხარე

„თეატრსა და ცხოვრებას“ უსათუოდ აქვს თავისი ლიტერატურული ტრადიციები და ჰყავს თავისი მკითხველები. სხვადასხვა დროს ამ მკითხველთა რიცხვი იცვლებოდა. ამ ჟამად ჟურნალი, ეკონომიური გაჭირვების გამო, ვერ გამოდის სისტემატიურად. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მკითხველთა ნაწილი მას გადაეჩვია. მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე ნაწილი ამ ჟურნალს ყოველთვის გულდასმით კითხულობს და იქ ეძებს პასუხს ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებზე. სხვადასხვა დროს „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლები ბევრ მწერალს დაუმშვენებია თავისი ნაწარმოებით, მაგრამ ბევრი შემდეგ ჩამოშორებია მას: „თეატრი და ცხოვრება“ ჰონორარით ვერავის მიიზიდავს, რადგან ამისთვის მატერიალური საშუალებები მას არ აქვს. ამით აიხსნება „დიდი“ მწერლების მხოლოდ კანტი-კუნტათ თანამშრომლობა „თეატრსა და ცხოვრებაში.“

სამაგიეროდ ჩვენს იუბილიარ—ჟურნალს ჰყავს მუდმივი ლიტერატურული გვარდია ძმად ნაფიცებისა, დედაქალაქში და პროვინციაშიც: მათში არიან ძველი თეატრალები, გლეხკორები, მუშკორები, რეპარტიორები, მელექსეები, სცენის მოყვარეები, ქალები და ვაჟები, მოსწავლეები. ისინი სწერენ, სწავლობენ, ისევ სწერენ... ბევრი მათგანი გაიზრდება და „თეატრსა და ცხოვრებას“ იქნებ დროებით მიატოვებს... მაგრამ ჟურნალი ახალსა და ახალს ლიტერატურულ და კულტურულ ძალებს შემოიკრებს, რომლებიც ძველებსა და დიდებს ადვილად შეცვლიან.

ეს პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მხარეა ჟურნალისა. დღეს მე მხოლოდ ამას აღვნიშნავ.

იასამანი

15 წელი!

ასოთხმოცი თვე, ხუთიათას ოთხასი დღე! არც ისე ცოტა დროა!

ამხნის განმავლობაში, დღიან-ღამიანა, მშიერ მწყურვალმა, უანგაროთ, დაუღალავათ იმუშაო ისეთ კულტურულ საქმეზე, რომელიც სულიერი კმაყოფილების მეტს მატერიალურად ვერაფერს შეგძენს—არც ისე ადვილი საქმეა.

რედაქტორიც იყო, ხშირათ ასოთამწყობიც, ექსპედიტორი, კორექტორი, ჟურნალის გამვრცელებელი—ადვილი სათქმელია...

ამავე დროს ბევრი დახმარების მაგიერ ხელს გიშლიდეს, გემუქრებოდეს!... მაგრამ შენ ვერავინ ვერ შეგაშინოს, იმიტომ რომ ხალხის სიმპატია შენსკენ არის, იმიტომ რომ შენი თავდადებული შრომა დ სიყვარული ამ კულტურული საქმისადმი გულწრფელია, სიმართლე შენსკენ არის და რაც უნდა დაიჩაგროს ის, გამარჯვება ბოლოს მაინც შისია...

„ყველა რომ აკეთებდეს ვისაც რამდენის გაკეთება შეუძლია, ეს ქვეყანა სამოთხედ გადიქცეოდა.“

ვინ რას გიმადლის, ვინ რა მოგცა, რომელი უმაღლესი ცოდნით დაგაჯილდოვეს!

ვინც მეტი ისწავლა, უმაღლესი ცოდნა მიიღო, იმათგანი რომ დღეში ქვეყნისთვის სასარგებლოთ თითო საათს ხარჯავდეს, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ყველას ეზარება ეკლიანი გზით სიარული ..

შენ კი თავიდანვე იდეალათ დაისახე ამ გზით სვლა, და ხალხის სამსახური. 15 წლის განმავლობაში განათლების ჩირაღდანი გიპყრია ხელში „თეატრი და ცხოვრება“-ს სახით და სწავლა-ცოდნისკენ, სინათლისაკენ მოუწოდებ ყველა ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ.

ცხოვრების სარკეში ახედებ ბრუნდს და მართალს, რომ ყველამ სისწორით დაინახოს თავისი სახე!.

ყველამ სისწორით შეიგნოს თავისი ადამიანური ვალდებულება—აი ჩვენი მომავალი ბედნიერების ჭეშმარიტი და უტყუარი ქვაკუთხედი.

აი რას ემსახურებოდა ამ 15 წლის განმავლობაში შენი „თეატრი და ცხოვრება“. აი შენი დევიზი. მე გულწრფელად გილოცავ 15 წლის შესრულებას და გულით გისურვებ კვლავ მაღლა გეჭიროს ჩირაღდანი სანამ საბოლაოთ არ მიაღწევ დიად მიზანს, რომელიც თავიდანვე დაუსახავს შენს ჟურნალს „თეატრი და ცხოვრება“-ს. კვლავ ჩემს ულრმეს და გულითად სალამს გირძღვნი დაუღალავო უანგარო მუშაკო.

ს. რემონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი და ცხოვრება“ ჩვენთა ფიქრთა გამოთქმელია.

კომანდო გოგელია ჩემს ბინაზე იყო. ერთხელ ამ ჟურნალის ნომერი შევუტანე ოთახში და ჩემს პატარა მოთხრობაზე მივუთითე.

—კარგია, მაგრამ....,.

და მომიყვა საერთოდ ჟურნალის დანიშნულებაზე, მიმართულების აუცილებლობაზე და სხ.

—ამ ჟურნალს კი სწორედ ერთი გარკვეული გზა არა აქვს და იქნებ ეხლა ეს საჭიროც იყოსო....

—დიახ, ვუპასუხე მე;....

....ვინღა და სად სთქვას სულის ეს აუცილებელი კივილი: მოსპეთ ზღუდეები, მოსპეთ ჩარჩოები, რომელშიაც აუცილებლად უნდა ჩასხედოთ თქვენი გრძნობა-ფიქრები. სად და როგორ მოხერხდეს ლაღი სიტყვის თქმა, განცდათა უშუალო, უეშმაკო გამომჟღავნება, გულის და სულის გადაშლა მკითხველ საზოგადოების წინაშე?....

უნდა ყოფილიყო და არის კიდევაც „თეატრი და ცხოვრება“, სადაც ადამიანი სულს მოითქვამს, აქეთ იქით არ იყურება და ყოველ სიტყვას არ შეუფარდებს ამა თუ იმ დოღმას.

ეს იყო და ეს არის ამ ჟურნალის ღირებულებაც და ნაკლიც, იმისდა მიხედვით ვინ რას ეძებს და როგორ უყურებს მწერლობის დანიშნულებას.

ბევრს მისცა ბინა და საშუალება „თეატრი და ცხოვრება“-მ გამოსულიყო სამწერლო ასპარეზზე და თავისი წვლილი შეეტანა ჩვენს ლიტერატურაში. ასეთივე უნდა იყოს იგი მომავალშიც.

ლ. ცაგარელი

დღევანდელ იუბილეს გამო

დღეს 15 წელიწადი სრულდება, რაც არსებობს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. ამ დროის განმავლობაში მას ბევრი დაბრკოლება და ვიავგლახი გამოუცდია, ბევრ ქარტეხილს გადაუვლია მის თავზე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჟურნალი დღესაც გამოდის გამშვენებული და განახლებული სახით, რაც დიდ გამარჯვებად უნდა ჩაეთვალოს მის სულისჩამდგმელ იმედიშვილს:

მთელს საქართველოში, ეს ერთად ერთი ჟურნალია სათეატრო დარგში; ამ ჟურნალის წყალობით ვტყობილობთ სამშობლო სცენისა და ხელოვნების ავკარგს და გვესმის ყველაფერი, რაც კი ხდება ჩვენი თეატრის გარშემო.

„თეატრი და ცხოვრება“ წარმოადგენს სარკეს, რომელშიაც ვხედავთ ყველა ჩვენი ხელოვნების შემოქმედთა, სცენის მოღვაწეთა და მის დამამშვენებელთა სახეებს.

გარდა თეატრისა ჟურნალში არის სხვა განყოფილებაც—პოეზია, მუსიკა, ქანდაკება და საზოგადოებრივი ცხოვრება, რაც უფრო საინტერესოდ და სასურველად ხდის ამ ჟურნალს საზოგადოებისათვის.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მკითხველი საზოგადოება ღირსეულად შეხვდება დღევანდელ დღეს და დაიფასებს მისი მოჭირნახულის ამაგს ამ ჟურნალის არსებობისა და ხელმძღვანელობისათვის.

მუშა **ნიკო ასლამაზაშვილი**

„თეატრი და ცხოვრება“ რას ემსახურება

თეატრი და ცხოვრება

ხუთმეტი წელიწადი შესრულდა რაც ეს სათეატრო ჟურნალი არსებობს.

ეს ერთადერთი ქართული ჟურნალია დღეს, რომელმაც გამოიარა მრავალი გიგანტური პერიოდები და სპეტაკი სახით, მტკიცე სულით და ცოცხალი აზრით მოაღწია დღევანდელ ხალხისნურ, მუშურ-გლეხურ ხელისუფლებამდე.

ჟურნალი მოწმეა ძველი რეჟიმის მუხანათობის... ძალმომრეობის... პირველი რევოლიუციონური ნაბიჯების დამარცხების.. ჩვენი ქვეყნის აწიოკების და რეაქციის თარეშის...

ყოველივე ეს მოისპო, დაემხო და დღეს ჟურნალი ეგებება თავისუფლებას როგორც სამწერლო ისე სამოქალაქო ასპარეზზე!..

ჟურნალის ხანგრძლივი არსებობა და მისი საზოგადოებრივი დამსახურება, სავსებით მიეწერება მისი დამაარსებელის იოსებ იმედაშვილის ღვაწლს, დაუღალავ შრომას, ენერგიას და საქმისადმი არაჩვეულებრივ სიყვარულს...

ჟურნალი როგორც თავისი სახელწოდებით ისე მოღვაწეობით აკავშირებს ორ დიდ მოვლენას—**თეატრს** და **ცხოვრებას**

მართლაც თეატრი განუყრელი, პირმშო შვილია ცხოვრების.

ის არის მისი გამოხატულება, მისი სარკე!..

მართალია, ზოგი ამ შეხედულებას არ იზიარებს.

თეატრი მათის აზრით დიდ კრიზისშია... უკან ჩამორჩენილი... განიცდის რეგრესს...

თეატრი, მათის აზრით, ცხოვრებას უკან კი არ უნდა მისდევდეს—წინ უნდა უსწრობდეს...

არა კმარა, რომ თეატრმა გვაჩვენოს ის, რაც ჩვენს გარშემო არის, რასაც ვხედავთ. მან უნდა მოგვცეს ახალი რამ, უხილავი, ჯერ შეუცნობელი...

მოდერნიზმი... ფუტურიზმის ცდები... ახალი თეორია... აი საით უნდა მიიწევდეს სათეატრო ხელოვნება.

ჩვენ ყოველგვარი სიახლის მომხრე ვართ, რომელიც კი ხელოვნებას საერთოდ და თეატრს კერძოდ წინ წასწევს და გამოადგება.

მაგრამ თეორიებში ყველაზე უდიდესი თეორია ცხოვრების სინამდვილის გაგება და შემეცნება არის.

შეიძლება ზოგიერთს თეატრი—როგორც ცხოვრების სარკე აღარ აკმაყოფილებდეს?

შესაძლებელია ცხოვრების სიავკარგეს „უსარკოდაც“ კარგად ხედავს?...

კეთილი! მას საუცხოო შორსმჭვრეტელი და ალი მხედველობა ჰქონია! მაგრამ, ხალხი, მასსა?!...

მისთვის სცენა არის ის გამადიდებელი შუშა, სადაც იგი ხედავს ცხოვრების სიავ-კარგეს, მისი დადებითი და უარყოფითი ნაწილებს, ერთად—მთელიანად აკინ-

ძულს მხატვრულ ხელოვნებაში... ხედავს წარსულს... ახლო განვლილ დღეებს... აწმყოს...

აქ იწყება მისი მონაწილეობა თვით ცხოვრების მოვლენათა შეფასებაში, ნაკლისა და ღირსების გარჩევაში...

მოაცილეთ, ან შეასუსტეთ ეს ძირითადი, აღმზრდელობითი მნიშვნელობის როლი სცენას, დააკისრეთ მას რაც მის პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს, გაგზავნეთ იგი ეფექტებისა და ილიუზიისაკენ და თქვენ დარწმუნდებით, რომ თეატრი ასცდება თავის დანიშნულების გზას—და მივიღებთ სანახაობას, შესაძლებელია, სასიამოვნოს თვალისათვის მაგრამ ნაკლებად გამოსადეგს ჭკუა-გონებისათვის...

სანახაობა—ილუზიის სფეროში თეატრს დაუშლელი მეტოქე გამოუჩნდა. ამ მხრივ თეატრ-კინოს მიღწევანი კოლოსალურია...

თეატრმა უნდა შეირჩიოს დინჯი, საღი და მხატვრული გემოვნება, როგორც ხანგრძლივი, უტყუარი და მარადიული.

მისი სახე უნდა იყოს, სახე ცხოვრების სინამდვილის გამომხატველი, რომელიც წარუშლელ კვალს სტოვებს მაყურებლის ფსიხოლოგიაში!..

ამ მიზნის განხორციელებას ემსახურება წარსულსა და მომავალში ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“.

ჯაფარ-ფაშა.

მუშა-მწერალთა აღმზრდელი

(„თეატრი და ცხოვრება“-ს 15 წლის არსებობის გამო)

1910 წელს დაიწყო „თეატრი და ცხოვრება“-მ გამოსვლა, რომელსაც უკვე შეუსრულდა ხუთმეტი წელი.

ეს ხუთმეტი წლის არსებობის ხანა ოქროს ასოებით აღსანიშნავია, რადგან დაბადებითვე ეკალით სავსე

ი. იმედაშვილი და მეუღლე მისი ანნა ნიკოლოზ ჟურულის ასული

ძველი სახალხო თეატრის სცენის მოყვარე, რომლის ფიქტიური ხელმოწერითაც გამოდიოდა ჟურნალი 1914—1916 წ., როცა იოსებს, როგორც კატორგა გადაწყვეტილს, ძველის მთავრობისგან უფლება აყრილი ჰქონდა.

გზა ჰქონდა, ათასი დუხჭირი წინ ელობებოდა, სიკვდილს უქადდა, მაგრამ ცოცხლდებოდა.

არ ერთი მესვეური არ გაბედავდა ასეთ დიდ საქმის ცარიელი ჯიბით დაწყებას, როგორც ამ მესვეურმა, ამ მესვეურის დიდსულოვნებით გაბედულობამ და საქმით გატაცებულმა სიყვარულმა; ყოველი შეეიწროება და ქარცეცხლი გმირულად დასძლია, ამ თავის საყვარელ ჟურნალს ოქროს აკვანში ნაწვენს, რწევით, ტკბილის ნანინით, ნელნელა ზრდიდა, ნელნელა ალამაზებდა, ნელნელა თავის არსებობის სულს უდგამდა და აი, ამ ხუთმეტი წლის თავზედ, ჩვენს თვალწინ ვხედამთ, უფრო გამშვენიერებულს, გალამაზებულს, სიცოცხლით სავსე მის ლამაზ სახეს და როგორც ხელოვნების ჟურნალმა, ვასო აბაშიძის და ნებიერიძის ჟურნალ „თეატრი“-ს შემდეგ, ჩვენი ქვეყნის ასპარეზზე, პირველი ალაგი დაიპირა.

„თეატრი და ცხოვრება“-ს რედაქტორ-გამომცემლის იოსებ იმედაშვილის შვილები:

შალვა, გაიოზ, თამარ, ქეთევან, ნინო და ფარნაოზ, რომლებიც (ფარნაოზის გარდა) ჟურნალს ჰკეცდენ, ჰკერავდენ, ხელის მომწერლებისთვის საფოსტოთ ამზადებდენ და სხ.

ეს ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“, მუშა მწერალთა ერთადერთი ორგანო იყო, რომელმაც თავისთან შემოკრიფა, როგორც ახალგაზრდები, ისრე უდიპლომო მუშა მწერლები, რომელნიც ერთად შეამჭიდროვა, შეაკავშირა და ამითი მათ მოუმზადა ნაყოფიერი სამუშავო ნიადაგი.

ეს ჟურნალი იყო მუშა მწერალთა ერთგვარი შკოლა, იმათი ნაწერები პირველათ აქ იბეჭდებოდა. ამ ჟურნალით იწყებოდა მათი საასპარეზო მოქმედების დაწყება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც არა ერთი და ორი მუშა მწერალი გამოუზრდია ენერგიით და ნიჭით სავსე.

იმედი მაქვს, მომავალშიც ამ გზას მხარს არ აუქცევს და ისეთივე ენერგიით ჩაუნერგავს სიყვარულის ვარდს გულში, როგორც აქამდისინ.

ეს ჟურნალი ყველას საყვარელი შეიქმნა, ყველა დამხმარე თვალით უცქეროდა, საქმის სიყვარულით, ყველა მკითხველი დახმარებას უწევდა, თუმცა ეს დახმარება ზღვაში წვეთი იყო, რასაც, იმედი უნდა ვიქონიოთ,მომავალშიაც თავის კეთილ მზრუნველობას არ მოაკლებენ და ამაში შეღავათს მისცემენ მის მესვეურს საქმის კეთილად დაწყებაში.

ვაშა მის მესვეურის დიდ ენერგიას... ვუსურვებ გამარჯვებას, რომ მისგან დაწყებულ საქმეს სასურველი ფრთები გაეშალოს, უფრო გალამაზებით, გამშვენიერებით, ალამაზებდეს, ისედაც გალამაზებულს, აყვავებულს, თვისი ქვეყნის მთის კალთებს.

დ. გაბრუაშვილი.

სალამი მასწავლებელ „თეატრი და ცხოვრება“-ს!

მე თუმცა ეროვნებით სომეხი გახლავართ, მაგრამ ქართული ენა ისე მიყვარს და მიღირს, როგორც ჩემი დედაენა. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ეს ბუნებრივია, ვინაიდან ძველი მოქალაქე, მამა-პაპით საქართველოში დაბადებულ —აღრზღიღი და ქართულ ენაზე მოლაპარაკე ვართ (მე, მამაჩემი და პაპაჩემი რომელ ოთახშიც დაბადებულვართ, ახლაც იქ ვცხოვრობ). მაგრამ ქართული სწავლა-კი არსად არ მიმიღია. მხოლოდ ქართულ მწერლობას და ლიტერატურას ისე ვიკნობ, როგორც ჩემს მშობლიურ (ესე იგი სომხურ) მწერლობას და ლიტერატურას. მიყვარს ეს ორი ენა ისე, როგორც ნამდვილი შობლები, ვეტრფი მათ, და ეს ტრფიალი წმინდაა და ძლიერი. მათგან ვერც ერთს ვერ გავცვლი ერთმანეთზე და სხვაზედ ხომ სულ არა —რასაკვირველია. და ეს ქართული მწერლობის სიყვარული ჩემში ჩაინერგა „თეატრი და ცხოვრება“-მ, იმ ჟურნალმა, რომლის არსებობის 15 წლის ზეიმსაც ვხდილობთ, ვდღესასწაულობთ დღეს და თანაც ვლოცავთ იმ დიად დღეს, რა დღესაც დაარსდა ეს ნამდვილი ხელოვნური და ხალხური საქმე.

თეატრი და ცხოვრება... ესე იგი ხელოვნება და ცხოვრება, ლამაზი და თანამედროვე სახელი, რაშიაც გამოიხატება ყველაფერი. და „თეატრი და ცხოვრება“-მ განა მარტო მე შემაყვარა ქართული მწერლობა, თეატრი და მისი ძვირფასი მუშაკნი? არა, ბევრი ახალგაზრდა შეჰფარებია მას და თავის ბუდე გაუკეთებია მის თბილ ფრთების ქვეშ, ბევრი აყვავებულა კოკორი მის ტურფა ბაღჩაში.

„თეატრი და ცხოვრება“ თაროა ქართულ ლამაზ პოეზიისა, „თეატრი და ცხოვრება“ სული და გულია ქართულ თეატრისა, რომლის წახალისებით და დაფასებითაც ბევრი ნორჩი ძალა, ბევრი სცენის მუშაკნი გამომდგარან, დაუმსახურებიათ სიყვარული და გამხდარან საზოგადო მოღვაწე.

დიდი ამაგი აქვს და დიდი ღვაწლი მიუძღვის „თეატრი და ცხოვრება“-ს აგრეთვე პროვინციის, დაბა-სოფლების სასცენო საქმის აყვავებაში და წინსვლაში: „თეატრი და ცხოვრება“-ს ყოველთვის დიდი ყურადღება მიუქცევია სოფლისკენ... აი ის სახელი და საქმე, რომელიც დღევანდელ საკითხთაგან ერთი უპირველესია.

„თეატრი და ცხოვრება“-მ ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ის დიდი გაჭირვება და ვაი-ვაგლახი გასწია, რასაც, როგორც ვიცით, არ შესწრებია ქართული არც ერთი ჟურნალ-გაზეთი, მაგრამ მან მაინც თავისი ბელადური მხნეობით, ყოველთვის დაუღალავად სწია თავის მძიმე უღელი და არადროს თავი არ დახარა არავის წინაშე. აგრეც უნდა ყოფილიყო.

თხუთმეტი წელიწადი...

თქმა ადვილია...

მაგრამ ვინც-კი იცის ამ თხუთმეტი წლის ჭირ-ვარამის ისტორია, ალბათ მას ისიც ეცოდინება, თუ რანაირი ნარ-ეკლიანი გზა გამოიარა „თეატრი და ცხოვრება“-მ და მისმა დამაარსებელ-ხელმძღვანელმა, ყოველად პატივცემულმა **იოსებ იმედაშვილმა**. მაგრამ „ჭირსაც გაძლება უნდაო“, ნათქვამია, და ეს ხალხური ანდაზა გაამართლა **იოსებ იმედაშვილმა**: მან თავის გრძნობით აღსავსე გული, მტკიცე და გამძლე სულით გადალახა ყოველივე დაბრკოლებანი, გაიარა ეკლიანი გზა, და აი-და, მიაღწია იმ მთას, რომლისაკენაც მიისწრაფოდა იგი, და რომელსაც ჰქვია სანათლე, სიმართლე და ხელოვნება... დღეს იგი დგას მთის მწვერვალზე გამარჯვებული, ხელოვნების დროშით ხელში და იქიდან პირნათლივ გაიყურება აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ტურფა რიჟრაჟის ნაკეცებიდამ, ახალად ამომავალი ნაზი მზის წითელი სხივები ღიმილით უმზერიან მას და უგზავნიან მხურვალე კოცნას... და, აი, დღეს მეც ჩემს მცირე ხმას ვუერთებ სხვა მრავალ ხმებს და მათთან ერთად მაღალის ხმით შევძახი:

სალამი ხელოვნების ტაძარის მცველ „თეატრი და ცხოვრება“-ს!

ვაშა მის დამაარსებელ ამაგდარ **იოსებ იმედაშვილს**!..

ძმური და მეგობრული კოცნა მის თეთრად მოსილ შუბლს!..

სურენ ავჩიანი.

რას ემსახურება „თეატრი და ცხოვრება“

ბევრი რამ ცვლილება ხდება კაცობრიობის ხანგრძელ ცხოვრებაში. ყველა დარგის ისტორია ჭრელი ტემპით და ნელის ნაბიჯით მისდევს ამ ცხოვრებას; მაგრამ საწამ ისტორიის სამსჯავროს წინაშე წარსდგებოდეს „ჯამი განელილისა,“ საჭიროა უფრო ახლო მეთვალყურე, გუშაგი, რომელიც ერს და მის მოქმედებას შუამავლობს. ეს შუამავალი იმდენად საჭიროა ხალხის შემოქმედების პროგრესისთვის რამდენადაც საჭიროა ისტორიისთვის უტყუარი მასალა.

ამ მხრივ დიდ როლს თამაშობს ჩვენს ხელოვნებაში და საპატიო ადგილიც დაიჭირა, არა მარტო ჩვენს საზოგადოების გულში. არამედ ყველა იმ მოქალაქეთა შორის (განურჩევლად ეროვნებისა), რომელიც მოსახლეობს ორ წალკოტს შორის, ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს.

ვისაც აინტერესებს თავის ერის ხელოვნება, განურჩევლად მიმართულებისა, ყველა იცნობს ამ ჟურნალს; ვინც თავის თავს სთვლის ხელოვნების ჭირისუფლად და მოტრფიალეთ, გინდ „სპეცი-“ც იყოს ყველა ცდილობს ამ ჟურნალისთვის გაიღოს თავის პატარა წვლილი: მოგონებით, მეგობრული რეცენზიით, ეპიზოდებით სოფლის ან მუშა ხალხის ცხოვრებიდან, რომელიც შეეხება ხელოვნებას და სხვადასხვა. ხშირად ხდებ[illegible] ვკითხულობთ ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებს, ან სა[illegible] გამოჩნდება ახალგაზრდა კომპოზიტორი, ლოტბარი, რეჟისორი, მსახიობი და სხვა საზოგადო მოღვაწე, მაგრამ ან სულ ვერ შევხდებით მას, ან არა და ძალიან იშვიათად, რომ „თეატრი და ცხოვრება“ არ არსებობდეს. საკმარისია გადავშალოთ ხსენებულ ჟურნალის ფურცლები და აშკარად დავინახავთ სასურვლ პიროვნებას.

რაც შეეხება ჟურნ. ,,თეატრი და ცხოვრება“-ს მნიშვნელობას, ამაზე გავრცელება ზედმეტად მიმაჩნია, რადგან ყველა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რა სამსახურს უწევს ეს ჟურნალი თავის გულწრფელობით ჩვენს ხელოვნებას. მაგრამ მარტო წერა და აწყობა არ კმარა, აქ საჭიროა ხელმძღვანელიც. ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის მის რედაქტორ-გამომცემელს სახალხო ლექტორს იოსებ იმედაშვილს. დღიდან ჟურნალის დაარსებისა დღემდე მას (იმედაშვილს) არ დაუზოგავს არაფერი. მისი ენერგია დღითიდღე კაჟდება; მიუხედავათ ყოველივე დაბრკოლების, რომელიც ამ ჟურნალს აღმოთხვრას უქადდა, იოსები მაინც მედგრად წინ მიდიოდა და საზოგადოებას აწვდიდა ძვირფას მარგალიტების ასოებით მოქარგულ ჟურნალს. არა ერთხელ მინახავს იოსები დაბა-სოფლების თეატრებში, სადაც ლექციებს უკითხავდა დამსწრე საზოგადოებს. შეხედავს კრებას, ასწონ-დასწონის და შესაფერი და გასაგებ ენით, მამაშვილურად, ებაასება ხელოვნებაზე. მაშ ეს ღვაწლი არ არის? ეს არ აყავრებს ხალხს ხელოვნებას? სასურველია და საჭირო გვყავდეს ამისთანა ბევრი „იოსები,“ იარონ საქართველოს დაბასა და ყრუ სოფლებში, უკითხონ ლექციები ხელონებაზე, სანამ ადრეა და ჯერ კიდევ არ გამქრალა ხალხის გულში ხელოვნების ლამპარი, თორემ ცოტა ხანიც და დავემსგავსებით იმ ერს, რომელიც გადაგვარებულია და რომელსაც დაუკარგავს თავის სიამაყე.

ამ მხრივ დიდ სამსახურს გვიწევს „თეატრი და ცხოვრება...

ამ წლის ივნისის 1 ,,თეატრი და ცხოვრება“ იხდის თავისი ხუთმეტი წლის არსებობის დღესასწაულს. ვუსურვებ კიდევ დიდხანს არსებობას, რომ ჩვენი საზოგადოება კვლავ მოეხიბლოს და დაეტკბოს იმ პატარა აზრთა სხვადასხვაობით, რომლის გატარებასაც ეს ემსახურებოდა და ემსახურება.

ვაშა და გამარჯვება მის მესვეურს და დაუღალავ მუშაკს ი. იმედაშვილს, გამარჯვება მის თანამშრომლებს და იმ პირთ, ვინც ამ ჟურნალის ბედიობალს იზიარებს.

გ. სვანიძე

„თეატრი და ცხოვრების“ ამწყობთა ჯგუფი

(შუაში რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი)

პოლიგრაფტრესტის მე-2-რე სტამბის მუშები

დგანან მარჯვნიდან მარცხნივ: გობეჩია ვლ., თოხაძე მაქსიმე, ჩიჩუა ს., ინასარიძე ი., გოგუაძე ივანე, დარჩიევი ე. (ამკინძავი), თამაზაშვილი მ.; ახედან მეორე რიგში: ბალდასაროვი მ., გველესიანი თ., ბაინდუროვი გ. (სტ. გამგე,—სცენის მოყვარე), იმედაშვილი იოსებ (რედაქტორი), გოგუაძე მანასე (ყოფ. კატორღელი), გორგიაშვილი მ. (ადგილკომი), გასპაროვი ს. (მბეჭდავი); პირველ რიგში: ვართანოვი რუბ. (ამკინძავი), მიქელაძე ივანე, ბარხუდაროვი მ., ხაჩატუროვი ს. (ფაქტორი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი და ცხოვრება“ მწერლობის თავშესაფარია

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ ერთად ერთი ძველი ქართული პერიოდული გამოცემაა, რომელმაც თავის არსებობა პირნათლად მოიტანა ჩვენამდის. იგი დღეს 15 წლის თავს დღესასწაულობს და განა არ დაიმსახურა მან ეს?

განვლილ გზაზე არა ერთი და ორი მათრახის სიმწვავე გადიტანა მან თავის ზურგზე. ახლო წარსულშიც იგემა ასეთი სიმწვავე. მაგრამ იგი თავის მედროშეთი ჯიუტია და შეუპოვარი. თავდატეხილი იერიშები და მათრახები სუსტნი გამოდგნენ შედარებით იმ თბილ გრძნობებთან და ალერსთან, რითაც მას დაბადებიდანვე ამხნევებდნენ ჩვენი ბუმბერაზი აკაკი, ვაჟა და მთელი თანამდროვე მოწინავე მწერლობა და დღესაც, როდესაც იგი განახლებული გზით ხალხის საკეთილდღეოთ მიილტვის წინ, მის ფურცლებს ამშვენებენ მთელი რიგი საუკეთესო ძველი და ახალი დრამატურგ-მსახიობთა, ბელეტრისტებისა, პუბლიცისტებისა, მუსიკოს-მხატვრებისა, მგოსნებისა და მუშა-მწერლებისა,—ნამდვილი ხალხის მეგობრებისა, რომლებმაც შეჰქმნეს და ჰქმნიან ჩვენი ერის კულტურას.

თუ ზოგიერთი ძველი ქართული პერიოდული გამოცემები მხოლოდ „ორეულთა“ სამწერლო ასპარეზად იყვნენ გადაქცეულნი, „თეატრი და ცხოვრება-“ს კარი ღია იყო მუშა მგოსან-მწერლებისა და ახალგაზრდებისათვისაც. ბევრმა პირველად მასთან აიდგა ფეხი და გაიკვლია გზა. ბევრმა ძველმა, უკუღმართობით გულგატეხილმა, მწერალმა ახლად მოჰკიდა ხელი კალამს, ჟურნალის თანაგრძნობით გამხნევებულმა.

რამდენადაც ცენტრი კულტურულ საქმიანობით დაშორებული იყო პროვინციასთან, იმდენად „თეატრი და ცხოვრება-“ს მთელი ყურადღება მიქცეული ჰქონდა უკანასკნელისაკენ. მან გამოაფხიზლა იგი. შეაყვარა ხელოვნების ყველა დარგი; წაახალისა და შეაგნებინა პროვინციის ყველა კუთხეებში თეატრების მოწყობის აუცილებლობა.

„თეატრი და ცხ[illegible]რება“-მ აჰხადა ფარდა იმ უჩინარ საზოგადო მოღვ[illegible]ა გალერეას, რომლებიც თავის თავაზიანობით ს[illegible]ლიად უცნობნი იყვნენ, მაგრამ დიდს საზოგადო საქმეს კი აკეთებდნენ ერის საკეთილდღეოდ.

იგი მუდმივი და ერთგული გუშაგი იყო და არის ჩვენი ყოველგვარ ლამაზი წარსულის ისტორიული მოვლენებისა, რომლებს მოგონებით, თავის დროზე გამომზეურებით იმშვენებდა თავის ფურცლებს.

მან შეჰქმნა წარუშლელი, ვრცელი გალერეია ჩვენის ქვეყნის, მეზობლების და უცხოეთის კულტურის ჭირისუფალთა პორტრეტებისა.

თუ მორალურად „თ. და ც.“ წელგამართული გრძნობდა თავს, 15 წლის განმავლობაში იგი ნივთიერად მუდამ ხელოკლეობას განიცდიდა. მაგრამ ასეთ გაჭირვებასაც ყოველთვის თავს აბუჭედა და დღესაც ამ მდგომარეობაში ჩაყენებული გაორკეცებულის ენერგიით განაგრძობს საყვარელ საქმეს.

ცხადია, მაშ ღირსეულად დაუმსახურებია მას ხალხის სიყვარული და თანაგრძნობა და ეს მისი იშვიათი ისტორიული დღე შესაფერის ღირსებით უნდა აღინიშნოს.

ა. ციხისთავი.

„თეატრი და ცხოვრება“ და იოსებ იმედაშვილი

15 წლის განმავლობაში ჟურნალის არსებობა და ისიც ასეთ სიძვირის და სიღარიბის დროს, სწორეთ საკვირველი რამ არის.

საკვირველია, მიტომ, რომ მას უძღვება და სცემს კაცი, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ სახსარს და რომელსაც ამავე დროს მრავალრიცხოვანი ოჯახი ახევია გარს.

მართლაც გატაცებით უნდა გიყვარდეს შენი საქმე, რომ შესძლო ათასგვარ დაბრკოლების დაძლევა და თავის დახწევა; სხვა რომ ყოფილიყო ამოდენა ხანს, ეჭვი არაა, წაიბორძიკებდა, ხელს ჩაიქნევდა და ჟურნალსაც თავს გაანებებდა; მარა იოსებ იმედაშვილი, თავისებურ გლეხურის დაჟინებით და გატაცებით კვლავ თავის გზას განაგრძობს და მისი ჟურნალი კვირა და კვირა გვეევლინება ხოლმე.

როდესაც საზოგადოებრივ მოღვაწეობის სფეროს რამოდენიმეთ მაინც გაივლი, ოდნავ უნდა შეჩერდე, უკან მოიხედო და გადაავლო თვალი, თუ რა გაგრკეთებია ან რა გიმუშავნია ამ ხნის განმავლობაში; ასე ვსთქვათ ერთნაირი „რევიზია“ უნდა გაუკეთო თავის ნამოღვაწარს.

ამ მხრივ კი, დიდ საქმეს ასრულებდა „თეატრი დ ცხოვრება“ და მისი რედ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი; ამ მიმართულებით ეს მუშაობა სწორეთ რომ დაუფასებელი არის.

ყველამ უწყის, თუ რა ძნელი არის პირველი ნაბიჯი საზოგადოებრივ ცხოვრების ასპარეზზე, უფრო მეტად ეი მწერლობის სარბიელზე.

რა თქმა უნდა, ყოველთვის შერჩევია საჭირო ამა თუ იმ ნაწარმოების მიმარი, მარა ზოგჯერ ისეთ რასმეს იწუნებენ, რაც არ იყო დასწუნებელი, ყოველ შემთხვევაში იმათაგან, რომელნიც ესარის ახლად სდგამენ ნაბიჯს მწერლობაში და საზოგადოო ხელოვნებაში. ასეთ შემთხვევაში გული უცრუდება და სამუდამოთ იკარგება ისეთი ნიჭიერი, რომელიც შემდგ ვინ იცის, იქნებ უდიდესი მწერალიც კი გამოსულიყო ის. მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში მრავლად არის აღნიშნული ასეთი ფაქტები, მაგ. ინგლისელთა სიამაყეს ბაირონს, როდესაც მან პირველად ლექსების წერა დაიწყო, მწარე დაცინვით შეხვდნენ და ერთი იმ დროინდელი კრიტიკოსი მას უწოდებდა „დაუპატიჟებელ სტუმარს პარნასის ბაღში“; მარა ამაყი ინგლისელი არ შეკრთა და მაინც განაგრძო თავისი გზა და იქცა მთელი კაცობრიობის სათაყვანებელ მწერლათ.

ასევე წვალებით გაიკაფა მწერლობის გზა რუსთა ცნობილმა მწერალმა ლეონიდ ანდრეევმა და მრავალმა სხვებმა.

იოსებ იმედაშვილი კი ამ მხრივ ახალგაზრდობას მფარველობას უწევს და გულგაშლილათ ეგებება; ათავსებს მათ ნაწარმოებს ჟურნალში და თან ამხნევებს და აქეზებს მათ. მრავალმა ჩვენმა ნიჭიერმა მწერალმა მის ჟურნალში მოიმაგრა ფეხი და მიიღო, ასე ვსთქვათ, „მწერლობის ნათლისღება“.

მეორე—ეხლა ჩვენში ბევრს ლაპარაკობენ და ჰგოდებენ სახელოვნო სიმოძრავ-[illegible]

და სხ., რომელნიც თანდათანობით იკარგებიან და დავიწყებას ეძლევიან.

იოსებ იმედაშვილი, მეტადრე ამ ბოლო დროს ფართე ადგილს უთმობს თავის ჟურნალში ამ საკითხს, რაც ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო მოვლენათ უნდა ჩაითვალოს.

ჟურნალში ხშირათ ვხვდებით წერილებს ცნობილ ხალხურ მემუსიკეთა, მოცეკვავეთა და მოსიმღერეთა, როგორიც არიან მაგ., ცნობილი მეთარე ა. ოჰანეზაშვილი, ქართულ ცეკვათა ნიჭიერი შემსრულებელი ალექსიძე, დასავლეთ საქართველოში განთქმულ სახალხო მომღერალი ილარიონ ჩავლეშვილი და სხ.

შემდეგ კიდევ სახალხო თეატრის საქმეს ხელს უწყობს „თეატრი და ცხოვრება“ და მართალი უნდა ითქვას, თეატრალურ ხელოვნების განვითარების საქმეში ამ ჟურნალს და მის ხელმძღვანელს დიდი ამაგი მიუძღვის.

და სწორეთ, უმთავრესად, ეს სამი მხარე მიმაჩნია მე ყველაზე უფრო დადებითად და სასარგებლოდ იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობაში; მხოლოდ ამ მხრივ იქნება გამართლებული და დაფასებული მისი მუშაობაც.

მომავალშიაც ასეთივე მიმართულებით, კიდევ უფრო ფართეთ უნდა განაგრძოს მან ეს გზა.

საზოგადოებისაგან კი ის ღირსია არა მარტო თანაგრძნობის, არამედ დახმარებისაც. **გრიგოლ კუნჭულია**

„თეატრი და ცხოვრება“ ლიტერატურული სტუდია.

სადღაც ყური: მოვკარი არის თუ არა საჭირო ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობაო?

რასაკვირველია, ასეთ კითხვაზე თვით ის ფაქტი აძლევს პასუხს, რომ ხსენებული ჟურნალი ამდენი წლების განმავლობაში არსებობდა და არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის არავის არავითარი სუბსიდია არ უძლევია და არც აძლევენ.

ახლა შეუდგეთ იმის შეფასებას, თუ რამდენად ნაყოფიერი იყო მისი არსებობა და არის დღესაც. დავიწყოთ მოგონებიდან.

როდესაც წამოვიზარდე და ცხოვრება გავიცანი თავისი მრავალი უარყოფითი მხრით, ამ დროს ჩემი სულის დასაყრდენი შეიქმნა მხოლოდ მწერლობა, რადგან ყოველ ლიტერატურულ ნაწარმოებში ვხედავდი უსამართლობის კიცხვას, სამართლიანობის აღიარებას, და ჩაგრულის გამოსარჩლებას. მეგონა მწერლები არაჩვეულებრივი ხალხი იყვნენ და რასაც სწერდენ, ცხოვრებაშიაც თვით ყოველივე მას ასრულებდენ. ამიტომ მიზიდავდა მწერლობა და რადგან ბუნებით, როგორც პიროვნება, სწორედ ასეთი ვიყავი, გადავსწყვიტე აუცილებლად გავმხდარიყავი მწერალი. შევიძინე აკაკის, ილიას, ვაჟაფშაველასი, ნინოშვილის და სხვათა წიგნები და შეუდექი გულმოდგინეთ წერის ტეხნიკის და ფორმის შესწავლას. დავეწაფე მთელი ჩემი ახალგაზრდული ენერგიით. შეუდექი ლექსების და პოემების წერას. ვწერდი მრავლად და ზოგჯერ ახლობელ ნაცნობებს წაუკითხავდი ხოლმე. ნაცნობები ზოგჯერ ძალიან მოიწონებდნენ ხოლმე ჩემს ნაწარმოებს და არც კი ეჯერათ თუ ჩემი დაწერილი იყო, მაგრამ ვფიქრობდი, ხათრით არ იწუნებენ მეთქი და რადგან მე ვერ შემეძლო შეფასება ჩემი ნაწერისა, ამიტომ ვსწერდი და ვხევდი, ვსწერდი და ვხევდი. ასეთ პირობეში ვიყავი ოთხი წელიწადი. ბოლოს, როგორც იქნა, გავბედე და მივიტანე ერთი პატარა ლექსი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციაში, სადაც თვით იოსებ იმედაშვილი დამხვდა, რომელიც პირველად ვნახე და გავიცანი. გადავეცი ჩემი ლექსი. იმედაშვილმა ეს ლექსი ჩემთანვე წაიკითხა, ამიხსნა ლექსის წერის ტეხნიკა, ცოტა გადამისწორა ლექსი და ჩემს განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც მითხრა: დავბეჭდამო. მართლაც ეს ლექსი გავიხედე და „თეატრი და ცხოვრება“-ს მორიგ ნომერში დაბეჭდილი იყო. ამან, რასაკვირველია, წამათამამა და განვარგძე წერა და ყოველთვის, როდესაც მივიტანდი ლექსი იქნებოდა, პოემა თუ მოთხრობა, აუცილებლად ჩემთან წაიკითხავდა და მოურიდებლად აკრიტიკებდა. ერთი ჩვეულება ჰქონდა, ჩემის აზრით, ცუდი: უეჭველად სხვების გასაგონად წაიკითხავდა და სხვების გასაგონად გააკრიტიკებდა და ეს, რასაკვირველია, ჩემს თავმოყვარეობას ძალიან ეხებოდა. ამიტომ ძალიან ვცდილობდი უნაკლო ლექსი მიმეტანა და ეს უსიამოვნება თავიდან მომეშორებია. მართლაც ხუთი-ექვსი შემთხვევის შემდეგ ჩემს ლექსს თითქმის გადასწორება აღარ დასჭირვებია.

სამწუხაროდ მდგომარეობამ ხელი აღარ შემიწყო, რომ განმეგრძო მწერლობა.

შალვა და გაიოზ იმედაშვილები

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს ტეხნიკ. თანამშრომ. 1918-19 წ. წ., როცა ჟურნალი საკუთარ ასოთსაწყობში იწყობოდა საკუთარი ძალღონით; ესენი ზიდავდენ ერთ სტამბიდან მეორეში შეკრულ გვერდებს, მთელი ღამეობით მეთვალყურეობდენ ბეჭდვას და ხშირად ტეხნიკურ მხარეს უძღვებოდენ.

ამ ნაირად „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია მარტო ოფიციალური რედაქცია კი არ არის, არამედ იგი არის სალიტერატურო სტუდიაც. აქედან გამოდიან მრავალნი მწერალნი და ასეთი ჟურნალის არსებობა არა თუ საჭიროა, არამედ თვით საქართველოს მთავრობაც დახმარებასაც კი უნდა აძლევდეს ასეთ რედაქციას. იოსებ იმედაშვილი რედაქტორიც არის და უფასო ლექტორიც, ამიტომ უსურვოთ ამ ჩვენს ლექტორს და მასწავლებელს თავისი ჟურნალის მეორე ხუთმეტი წლის იუბილე გადაეხადოს ისეთივე სიმხნევით, როგორც ახლა იხდის.

ვარლამ ჩლაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„თეატრი და ცხოვრება“ და ქართველი მუსლიმანები

სულით და გულით ვულოცავ რედაქციას 15 წლის განმავლობაში საერთო საკაცობრიო და ეროვნულ იდეალების სადარაჯოზე დგომას და მუშაობას.

სხვა დამსახურებათა შორის ხაზგასმით უნდა აღვნიშნო ის დამსახურებაც, რომელიც მიუძღვის „თეატრი და ცხოვრება“-ს ჩვენი ღვიძლი ძმების ქართველი მუსლიმანების საკითხის წინაშე. ამ საკითხს მან უძღვნა საერთოდ ორი წერილი, საგანგებო ნომერიც-კი, რომელთა მეოხებით ქართველ მუსლიმანობას ეროვნული თვითცნობიერების გრძნობა გაუძლიერდა. ამას თავის დროზე აღნიშნავდნენ მისი წარმომადგენლები.

დღეს, როდესაც საქართველოში ისტორიულ გრდემლზე იჭედება ახალი ცხოვრება ცის ახალ ტატნობის ქვეშ, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას ამ ცხოვრების ალღო სწორად აქვს აღებული და არ ღალატობს თავის ნაცად გეზს—ემსახუროს ქართველ ერის სოციალ-კულტურულ წინსვლას, იმ ერისას, რომელიც საერთაშორისო ოჯახში შედის თვისი განსხვავებული სახით, რევოლიუციის წინაშე უაღრესი დამსახურებით, თავისი ძველი და ახალი კულტურით და საუკეთესო მერმისის მტკიცე იმედით...

ილია ფერაძე*)

„თ. და ც.“ სტუმართმოყვარეა

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იმ თავიდანვე ყოვლად უპრეტენზიო ორ-განო იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დღევანდელ იუბილეს. თავისი არსებობის მანძილზე ჟურნალს ხელოვნების არც ერთს დარგში არ გამოუჩენია თავისი საკუთარი, ნიშანდობლივი სახე. სამაგიეროდ მისი ფურცლები გამოუცნობელის სტუმართმოყვარეობით ივსებოდა ყველა ჯურისა და მიმართულების ნაწერებით. ეს არის მთელი მისი ღირსებაც და ნაკლიც.

სიჭაბუკის ხანაში ფეხჩადგმულ ჟურნალს უსურვებდი, რომ გაისად მაინც მკაფიოდ გამოეჩინოს საკუთარი გარკვეული სახე. მიეგნოს ლაზათიანობისათვის და გამსჭვალულიყოს იმ რწმენით, რომ უმჯობესია მკითხველს მიაწოდო ცოტა, მაგრამ კარგი.

ნარცანი

„თეატრი და ცხოვრება“ საყვირია

ვინც არ იცის რა უმადურია ქართულ ჟურნალ-გაზეთის რედაქტორის ხვედრი, იგი ადვილათ ვერ წარმოიდგენს რამდენი სულიერი ტანჯვა უნდა გამოევლო ხუთმეტი წლის განმავლობაში „თეატრი და ცხორების“ რედაქტორს იოსებ იმედაშვილს.

მე ვფიქრობ, ეს რაღაცა მეტათ იშვიათი მოვლენა არის ქართულ ცხოვრებაში და ამას ღირსეულათ დღეს ვერ დავაფასებთ; ვიტყვი მხოლოთ, რომ ვისაც ცოტაოდენი მაინც შერჩენია სიმართლის სიყვარული, იგი გულდასმით გადაჰხედავს განვლილ ხუთმეტ წელს და გაკვირვებით იტყვის: საიდან მოიპოვა ამ ღარიბმა და თითქმის უსწავლელმა კაცმა ამდენი სულიერი ძალა, რომ შეუძლებელი შესძლოო!

„თეატრი და ცხოვრება“ ძალიან ბევრჯერ ერთგვარ საყვირათ ევლინებოდა უიმედობით დასნეულებულ ქართველ მკითხველს ცარიზმის დროს, როცა შავ-ბნელ გარემოებათა წყალობით იგი მოკლებული იყო სხვა რამ სულიერ საზრდოს, ევლინებოდა და გულში იმედის სხივს ჩააშუქებდა ხოლმე...

მე წრფელის გულით ვულოცავ ხუთმეტი წლის იუბილეს ამ ჟურნალს და ვმადლობ მის ნაამაგდარ მშობელს იოსებ იმედაშვილს, რომელიც მეტად თვალსაჩინო მაგალითია საქმის სიყვარულის!.

ვაშა „ქართველის სულს ჯან გაუტეხელს!“.

განდეგილი

ძნელ გზაზე...

ისეთ პირობებში არსებობა ჟურნალისთვის, როგორც „თეატრი და ცხოვრება არსებობდა ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში, მეტად ძნელია და თითქმის შეუძლებელიც, მაგრამ ყოველივე დაბრკოლებანი, რაც ხელს უშლიდა ამ ჟურნალის არსებობას, გადალახული იყო რაღაც უჩინარი ხელით.

ეს უჩინარი **ხელი** იყო სწორედ საზოგადოების თანაგრძნობა და სიყვარული „თეატრი და ცხოვრება“-სადმი, რომელიც ერთად-ერთი ჟურნალი იყო, სადაც შუქდებოდა ქართული მხატვრულ-ხელოვნური ცხოვრება.

როდესაც „თეატრი და ცხოვრება“-ზე ლაპარაკობს ადამიანი, არ შეგიძლია არ წარმოადგინო ჭაღარა მოსილი კაცი, კოკროჭინა ქუდით თავზე, მუდამ დაფლეთილ ტანისამოსში და დაგლეჯილ ფეხსაცმელებით, ენერგიული, მოძრავი და დაუღალავი,— ეს გახლავთ „თეატრიდა ცხოვრება-“ს ხელმძღვანელი იოსებ იმედაშვილი; მან მძიმე ტვირთი ზიდა ამ ხუთმეტი წლის განმავლობაში. ვუსურვებ „თეატრი და ცხოვრება“-ს კვლავ არსებობას და მის ხელმძღვანელს კიდევ მეტი ძალღონით აღჭურვას.

მუშა ქალი

მოგონებანი „თეატრი და ცხოვრების“ 15 წლის თავისათვის

„თეატრი და ცხოვრებასთან“ ბევრი მოგონება მაქვს დაკავშირებული.

ჟურნალის არსებობის 15 წლის თავზე ერთი მათგანი მის დაუღალავ რედაქტორს მინდა ვუამბო.

იმ ხანებში მე საქართველოში არ ჩამომესვლებოდა და შვეიცარიაში ვიყავი გახიზნული. ერთ-ერთ ზაფხულის ავადმყოფობის გამო ექიმებმა მთაში გამწერეს. კურორტზე არ შემეძლო წასვლა და შვეიცარიის მოსაზღვრე Haute-Savoie-ს (საფრანგეთი) ღარიბ, მაგრამ მთიანსა და ლამაზ მიდამოებს მივაშურე. ვცხოვრობდი უცხო სავოიარებში მეგობარ ემიგრანტებსაც მოწყვეტილი. ქორესპონდენტული კავშირი, რომელიც ჟენევაში მქონდა სამშობ-

---

*) „თეატრი და ცხოვრება“-ში ილია ფერაძე სწერდა შემდეგი ფსევდონიმებით: ილ. ჩხერიმელისპირველი, ჩ—პირელი. ჩაქუჩი, თეზბიტელი (პირველი ხმარებულია პირველად „კვალ“-ში 1893 წ. „ჩაქუჩი“-ს ფსევდონიმით სწერდა „ივერია“-ში ცნობილი შავრაზმელი დეკანოზის ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელიც სცდილობდა მტრობა გაეძლიერებია კავკასიის ერთა შორის).

ლოსთან, ისიც კი შესწყდა აქ, მარტოობის სიმძიმილმა სული შემიხუთა. ამ მდგომარეობაში მომაგონდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორის თავაზიანობა და გადავწყვიტე მიმემართნა მისთვის.—გავუგზავნე ერთი მინიატურა და ვსთხოვე ჟურნალი მოეწოდებინა ჩემს უდაბნო სამყოფელოში.—ი. იმედაშვილს პასუხი არ დაუყოვნებია.

წარმოიდგინეთ ჩემი სიხარული, როცა სოფლის ფოსტალიონმა ერთ მშვენიერ დილას ქართული ჟურნალის ათიოდე №-ი შემომიტანა ოთახში. სამ თვეზე მეტი იქნებოდა, რაც არ წამეკითხა ქართული ჟურნალ-გაზეთი.—და ჩემ წინ გადაიშალა „თეატრი და ცხოვრების“ ფურცლები: მწერლების, პოეტების, საზოგადო მოღვაწეების, მსახიობების, სცენის მოყვარეების სახეთა მთელი გალერია! ლექსები, მინიატურები, წერილები, კორესპონდენციები, ვოდევილები, დრამები და...· იმედაშვილისეული ტრადიციული ქრონიკა!...

„თეატრი და ცხოვრების“ ქრონიკას უცხოეთში განსაკუთრებული მიმზიდველობა ჰქონდა ჩემთვის. ათი წლით სამშობლოს მოშორებულს მაინტერესებდა ყოველი წვრილმანი, „თეატრი და ცხოვრების“ ქრონიკა ამ მხრით დიდ სამსახურს მიწევდა. —ის იძლეოდა არა მხოლოდ იმის ცნობას, რაც იყო,—ჟურნალის ყურთასმენას არ გამორჩებოდა, თუ ის რომელ პოეტს, ან მწერალს რა განზრახვა ჰქონდა, რას სწერდა ან როდის და როგორ დასწერდა.—მახსოვს, იმედაშვილი საკვირველ პიროვნებად მყავდა წარმოდგენილი, რომელსაც თანამშრომელ პოეტის ოცნებაშიაც კი შეეძლო შეეჭვრიტნა. წარმოიდგინეთ, ერთხელ მის ქრონიკაში ჩემი ამბავის წაკითხვაც კი მომინდა,—უთუოდ არც მე გამოვრჩებოდი მეთქი და, შესაძლებელია, ჩემი ფარული განზრახვებიც ამ სიშორიდან იცოდეს ამ თილისმა კაცმა მეთქი!

დიდიხნის ამბავს მოგახსენებთ···

იოს. იმედაშვილს დაცული აქვს ახლაც თავისი ტრადიცია, თავისი სტილი, რომლისათვის ერთხელაც არ უღალატნია.

ჩემთვის დღესაც საკვირველია ეს იშვიათი რედაქტორი და საჟურნალო საშუალო მკითხველის ორგანიზატორი საქართველოში.

ლეო ქიაჩელი

ს. სოლომონიანისა და ა. სჯუტჩიანი ცინკოგრაფია

დაარსებულია 1901 წ. ძლიერ ხელს უწყობს კულტურულ-საგამომცემლო დაწესებულებათ. ჩვენს ჟურნალს ემსახურება თითქმის დაარსებიდანვე, გვიმზადებს კლიშეებს, უანგაროდ მხარს გვიჭერს, ბევრჯერ გაჭირვებაში დაგვხმარებია.

სურთი გადაღებულია სახელოსნოში დილის საუზმის დროს.

ღირსეულ მასწავლებელს ნამოწაფარისაგან

ეს იყო 1920 წელს.

სოფლიდან ახალი ჩამოსული ვიყავი, დავეძებდი რაიმე სამუშაოს. ნათესავები და მეგობრები საიმედო არავინ მყავდა ტფილისში, და სადმე საკუთარი მუშაობით უნდა მეშოვნა ლუკმა-პური.

საერთოდ სამუშაოს შოვნა მაშინაც ძნელი იყო და ადგილის მძებნელს დიდი მოთმინება უნდა ჰქონოდა.

მე ბევრ დაწესებულებას—ფაბრიკა-ქარხანას მივადექი კარებზე, მაგრამ არსად არ აღმოჩნდა საჩემო ადგილი.

შემთხვევით წავაწყდი „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას. მინდოდა იქაც მეცადა ბედი, მაგრამ პირველ მემთხვევაში იმდენი გამბედაობა აღარ აღმომაჩნდა, რომ პირდაპირ შევსულიყავი.

დავუწყე კანტორას დათვალიერება, თუ ვინ და რანაირი ხალხი მუშაობდა იქ. მუშაობდნენ სულ რამოდენიმე კაცი და ქალი. ერთს კი უფროსობა ეტყობოდა, როგორც საქმეში, ისე ხნოვანობითაც—ჭაღარა იყო—და მამობრივი გამოხატულების შთაბეჭდილება გამოიწვია ჩემში.

ვიფიქრე: თუ რაიმე შემწეობა აღმომიჩინა ამან, თორემ სხვა იმედი ტყუილია მეთქი და ცოტა ყოყმანის შემდეგ შევედი და ვიკითხე თუ ვის გამგებლობის ქვეშ იყო კანტორა. მიმითითეს სწორედ ამ ჭაღარა კაცზე.

მე მივმართე მას და მოუყევი ჩემი მდგომარეობა. მან, ცოტა დაფიქრების შემდეგ, აღმითქვა, რომ მომცემდა სამუშაოს და დამიბარა მეორე დღეს.

ასოთ ამწყობთა ჯგუფი

(შუაში იოსებ იმედაშვილი)

ზევით: ლევან მესხიძე, შალვა და ვანო იმედაშვილები, შუა რიგზე: პეტ. ახალკაცი, სოლ. წულაძე, იოსებ იმედაშვილი, მელ. ნოდია, ნიკ. ასლამაზოვი, ქვეით: მიხ. სალდაძე, ვარ. კაკნაძე და გ. ედიშერაშვილი.

პირველ ხანებში კანტორაში ვეხმარებოდი: ხან ჟურნალის მასალებს ჩავიბარებდი, ხან ჟურნალსა და წიგნაკებს ვყიდდი და, აღვნიშნავდი სათანადო დავთარში. თავისუფალი დრო თუ მექნებოდა, წყობასაც მასწავლიდა.

აი, ასე: ეს ჩემთვის უცნობი კაცი აღმოჩნდა ჩემი პირდაპირ სიმშილისაგან დამხსნელ ადამიანად.

... თუ არა ის, არ ვიცი, როგორ წავიდოდა ჩემი საქმე.

ამრიგად ცხოვრების ფერხულში ჩავები „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციის—უფრო კი მისი რედაქტორი პატივცემული **იოსებ იმედაშვილის**—წყალობით და ამ ჟურნალის გამოცემის მე-15 წლის თავის აღსანიშნავად არ შემიძლია მადლობა არ მიუძღვნა მის რედაქტორს, როგორც დაუშრეტელი ენერგიის პატრონს, რომელიც პირდაპირ საკუთარი ძალ-ღონით და მეცადინეობით სცემს ხელოვნების ამ დარგში ერთად-ერთ ჟურნალს ამდენი ხნის განმავლობაში.

უსურვებ პატივცემულ **იმედაშვილს**, როგორც ჩემი პირველი ხელის შემწყობს ცხოვრების სარბიელზე გამოსვლაზე, ხანგრძლივ სიცოცხლეს და გაასკეცებულ ენერგიას ერის გათვითცნობიერების საქმისათვის და ეროვნული კულტურის სასარგებლოდ.

მადლიერი ნამოწაფარი მუშა ქალი **მარო ხობელავა**

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას მისალმება

ქ. ტფილისი. ამიერ-კავკასიის რკინის გზების ელექტრო-ტექნიკური დარგის სამმართველოს მოსამსახურეების ერთი ჯგუფი აღფრთოვანებით მიესალმება ჟურნალ „თეატრი და ცხოვრებას“, მისი 15 წლის არსებობის გამო. ეს ერთად-ერთი ჟურნალია საქართველოში, რომელსაც შეეძლო ამ საქმის ხნის განმავლობაში არსებობა და ... ...

მუშათა მოგონებანი

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს პირველი წლის გამოცემა.

1910 წელს მე ვმუშაობდი იოსებ იმედაშვილის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ზე ასოთ-ამწყობად. ჟურნალს ვბეჭდავდით როგორც არის, კვირაში ერთხელ. მუდამ თავის დროზე გამოდიოდა: პარასკევს აწყობას ვრჩებოდით, შაბათს დილით უკვე შევუდგებოდით ბეჭდვას და კვირას კი იყიდებოდა (იყო შემთხვევა, კვირაში ორჯერაც გამოგვიშვია). პირველად ქართულ თეატრის ეხოში სტამბა „პროგრეს“-ში ვბეჭდავდით, სადაც ჩემთან კიდევ ერთი ასოთ-ამწყობი ვანო ედიშერაშვილი მუშაობდა; შემდეგში ჟურნალი გადავიტანეთ სტამბა „გერმეს“-ში, სადაც ჩემთან ვამუშავებდი შეგირდ ოგანეზოვს.

გ. მურალაშვილი

ჟურნალის პირველი ასოთამწყობი, ერთი თავდადებული მუშათაგანი, რომლის ხელმოწერითაც გამოვიდა 1910 წ. უკანასკნელი ნომერი, როცა რედაქტორი იოსებ იმედაშვილი მეტეხის ციხეში დააპატიმრეს.

ამხ. იოსებ იმედაშვილი არ გვექცეოდა ისე, როგორც იყვნენ სხვადასხვა რედაქტორები ან კიდევ „ხაზეინები“. იოსები სულ ერთთავად ჩვენთან იყო, ერთთავად სტამბაში იმყოფებოდა, ისე რომ აწყობასაც გვშველოდა ხოლმე.

ამხ. იოსებზე ვიტყვი იმასაც, რომ არ იყო ფულის, ანუ ჯამაგირის მოცემაში ურიგო. მართალია, ფული არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენთვის სადაც იყო და არ იყო იშოვიდა, აქეთ ეცემოდა, იქით ეცემოდა და მოგვიტანდა ხოლმე შაბათს სალამოზე ფულს. იყო შემთხვევები, რომ კვირა დილით მოუცია ნამუშევარი: ჟურნალს რომ გაჰყიდიდა, შემდეგ მოგვცემდა ხოლმე, მაგრამ იშვიათად, ისიც სცხვენოდა რომ ეთქვა, კვირა დილით მოდი და მოგცემო. მაგრამ ნათქვამს უეჭველათ აასრულებდა. არ იყო სხვადასხვა „ხაზეინებივით“ რომ გულადათ ეთქვა: „ხვალ მოგცემთო!“

არ იყო სხვადასხვასავით პატივმოყვარე, იყო თავდაბალი. თავის ჟურნალს თითონვე ჰყიდდა ხოლმე ხელზე.

ერთ დღეს მე მივანებე თავი იოსების ჟურნალს და ავედი გორში სამუშაოდ. იოსებს არ შევატყობინე. იოსებს მთელი „უჩასტკები“ გადაებრუნებინა, „ბალნიცაი“ ვეძებნე, სადაც მკვდრები არიან. შემდეგ, როდესაც ორიდან დავბრუნდი, ერთი კვირის შემდეგ, და ერთბაად მნახა, სიხარულით გადამეხვია, არ იცოდა რა ეთქვა, ჩემს მშობლებს ისე არ გეეხარდებოდათ ჩემი ნახვა, როგორც იოსებს გაეხარდა, —გადამკოცნა და შეუდექი ულახლად მუშაობას.

ერთ შაბათ დღეს დილით მივედი სტამბაში, რომ ლ მთლად მომზადებული, აწყობილი, შეკრული (ვერსკა ნაქნარი) ჟურნალი დაგვებეჭდნა. დაბეჭდვის მეტი ალარაფერი სჭირდებოდა; ველოდე, ველოდე, მაგრამ იოსები არ მოვიდა, შემდეგში შემატყობინეს, რომ იოსები წუხელ დაიჭირესო. ეს მაცნობეს ვ. გუნიამ და ი. გრიშაშვილმა. ძალიან მეწყინა ეს რომ გავიგე, მაგრამ რას უშველიდით. ბევრი ვიფიქრე, თუ რა გვექნა მზათ გაწყობილი ჟურნალისთვის, მენანებოდა ჯერ იოსების შრომა და მერე კიდევ ჩემი. ავდექით და ამნაირათ მოვიაზრეთ: სახელი გამოუცვალეთ: „თეატრი და ცხოვრება“-ს მაგიერათ „ალმანახი ხელოვნება“ სათაურათ დავარქვით ჩემი რედაქტორ-გამომცემლობით, დავბეჭდეთ და გაიყიდა კიდეც: არც ჩემი შრომა დაიკარგა, არც იოსებისა.

შემდეგ თავი მივანებე და სხვა სტამბაში გადავედი.

და, აი, ეხლა უყურებ, რომ იოსები თავის ამაგდარ ჟურნალს ხელიდან მაინც არ უშვებს და ისევ მხნეთ და დაუზარელათ უშვებს და ჯაფას ეწევა.

იოსებს დიდი შრომა და ღვაწლი მიუძღვის ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს გამომცემლობაში.

ასოთამწყობი **გ. მურალაშვილი.**

პატარა მოგონება

თვითმპყრობელობის უკანასკნელი გაძლიერებული რეაქციის ქარცეცხლის ხანებში გამოვიდა ჟურ. „თეტრი და ცხოვრება“ იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით. მე ამ დროს ვმუშაობდი „პროგრესის“ სტამბაში. მე, როგორც მბეჭდავი, სტამბის დიდი ხნის მუშა, დაკვირვებული, ვამბობ, რომ იოსებ იმედაშვილი არის როგორც ლიტერატურის და ლექსთა წყობილების, ისე ბეჭვდითი საქმის ტეხნიკოსი გადავხედეთ მის მიერ შედგენილ, წარსულ ძველ ჟურნალს, თუ რა ხელოვნურათ აქვს შეკული და გამოცემული.



გალუსტ შიხიანცი

სტამბის მემანქანე-მბეჭდავი, რომელიც 1910 წ. ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ზე მუშაობდა შაპსონის სტამბაში.

მე მაგონდება კიდევ იოსებ იმედაშვილის გულკეთილობა და გულწრფელობა, თუ როგორ ხელმძღვანელობას გვიწევდა უსწავლელ, თვით ნასწავლ ლექს-მწერლებს, როგორ მეგობრულ და მამაშვილურ დარიგებას და ახსნა-განმარტებას გვაძლევდა ლექსების წერაში, როგორც ნიშნების ისე ლექსთა წყობილობისა და რითმების ჩვენებით. ეს იყო 1903-4 წლებში, როდესაც წიგნთა სავაჭრო ჰქონდა. ჩემი პირველი წიგნი „ტურფა ბაღი“ იოსებ იმედაშვილის ჩვენებით გამოვეცი. აქედან ვიწყებ მუშაობას შეძლების დაგვარად. ვწერ ლექსებს.

აი როგორ გვამზადებდა ჩვენი მასწავლებელი იმედაშვილი. ვუძღვნით გულითადად სალამს „თ. და ც.“ არსებობის ხუთმეტი წლის შესრულების ხანას და მის ხელმძღვანელ რედაქტორს იოსებ იმედაშვილს.

მუშა **გალუსტ შიხიანცი.**

1910 „თეატრი და ცხოვრება“-ს 15 წ. თავი 1925

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს არსებობის 15 წ. თავი შესრულდა.

ქართული ბეჭდვითი ორგანოსთვის, რომელსაც, საერთოდ, ისტორიამ განსაკუთრებული მოვალეობანი დააკისრა და არსებობის არაჩვეულებრივი ძნელი პირობები შეუქმნა, ეს მანძილი მეტად თვალსაჩინოა და ღირსი საზოგადოების ყურადღებისა.

არ არის საჭირო „თეატრი და ცხოვრების“ საზოგადოებრივ-ლიტერატურულ მნიშვნელობაზე სიტყვის გაგრძელება: მეფის რეჟიმის დროს ეს თითქმის ერთად-ერთი ჟურნალი იყო, რომელიც ყოველნაირად სცდილობდა შესაფერი სამსახური გაეწია ჩვენი სათეატრო ხელოვნებისათვის. ჟურნალი დღემუდამ მხურვალე აგიტაციას ეწოდა საზოგადოებაში სცენის სასარგებლოდ და თეატრისადმი სიყვა-

იოსებ იმედაშვილი

ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“-ს დამაარსებელი და მისი მუდმივი რედ.-გამომცემელი.
(სხვადასხვა დროს. ნახატი ირ. თოიძისა)

რულს უღვიძებდა ფართო მასებს.

მას ყოველთვის შეძლებისდაგვარად მაღლა ეჭირა ხელოვნების ჩირაღდანი და ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში მისი სხივი და სიტყვა უხვად ვრცელდებოდა.

თეატრალურ ხელოვნების გარდა, ჟურნალის ფურცლებზე ყოველთვის დიდი ადგილი ეთმობოდა მშობლიურსა და უცხოეთის პოეზიას, ბელეტრისტიკას, მხატვრობას, კრიტიკას.

ამნაირად, ჟურნალი უაღრესად ხალხურსა და მშრომელთა საქმეს აკეთებდა. მან თავისი წვლილი შეიტანა მდაბიო ხალხთან ხელოვნების დაახლოვების საქმეში და არა ერთი და ორი სახალხო მწერალი გამოზარდა ამ დროის განმავლობაში, როგორც ჩვენს დედაქალაქში, ისე საქართველოს შორეულ კუთხეებშიაც.

15 წლის განმავლობაში ჟურნალში ბევრმა ახალგაზრდამ დაიწყო მწერლობა. ზოგი მათგანი, უკვე საკმაოდ გაზრდილი, დღეს ხელოვნების სხვადასხვა დარგს ამშვენებს; არ არის ცოტათ თუ ბევრათ ცნობილი მწერალი, რომელსაც თავისი ნაწარმოები ხსენებულ ჟურნალში არ მოეთავსებინოს.

ბევრი ქარტეხილი გადახდენია ჟურნალს 15 წლის განმავლობაში, მაგრამ დაბრკოლებანი გადაულახავს, ნივთიერად ხელის შემშლელი პირობები დაუძლევია დ ხელოვნების მსახურის უქრობელი ჩირაღდანი დღემდე მოუტანია.

მხოლოდ რედაქტორის დაუღალავს ენერგიას და მტკიცე რწმენას შეეძლო ჟურნალი მძლე გამოეყვანა უამრავ დაბრკოლებებში. განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ეკონომიური საერთო დაქვეითების დროს. ყოველგვარ სუბსიდიის გარეშე, იგი იძულებული იყო ისევ მკითხველთა თანაგრძობას დაყრდნობოდა და საკუთარის ძალღონით განეგრძო ეკლიანი გზა.

დღეს, თავის არსებობის 15 წლის თავზე, რედაქციას განზრახვა აქვს კიდევ უფრო გააფართოვოს სამოქმედო ფარგალი, გააუმჯობესოს ჟურნალის შინაარსი დ დროგამოშვებით სარეპერტუარო პიესების კრებული გამოსცეს.

ქართულ მწერლობისა და ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენელთაგან შემდგარმა კრებამ გაითვალისწინა ჟურნალის ესოდენი დამსახურება და გადასწყვიტა მისი არსებობის 15 წლის თავი შესაფერისად აღინიშნოს: ა) 1 ივნისს 1925 წ. რუსთველის თეატრში გაიმართოს საიუბილეო საღამო საგამომცემლო ფონდის გასაძლიერებლად და ბ) ამავე დღისთვის გამოიცეს ჟურნალის საიუბილეო ნომერი გაფართოებულის სახით და საგანგებოდ შერჩეული მასალით.

ჟურნალმა კიდევ დიდხანს უნდა ზიდოს სამშობლო თეატრისა და ხელოვნების მსახურის მძიმე ტვირთი.

საიუბილეო კომიტეტის **თავმჯდ.** **საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მსახიობი ვასო აბაშიძე;**

თავმჯდომარის მოადგილენი: **ხეით დევდარიანი, ვარლამ ძიძიგური;**

პრეზიდიუმის წევრები: **ეფ. მესხი, გ. გოკიელი. ქ. ანდრონიკაშვილი, ს. ახვლედიანი, ელ. მამაცაშვილი, ს. წერეთელი.**

კომიტეტის წევრები (ანბანით): **ა. ახნაზაროვი, ვ. ბარნოვი, ი. ბერიშვილი, განდეგილი, ივ. გომართელი, ნ. გოცირიძე** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), **ი. გრიშაშვილი, ვალ. გუნია, კ. თავართქილაძე, გ. თევდორაშვილი, ბ. თევზაია, მ. თოიძე, იასამანი, ალ. იოსელიანი, პ. ირეთელი, ია კარგარეთელი, მ. ლობჟანიძე, ივ. მარკოზოვი. კ. მაყაშვილი, შიო მღვიმელი, ნარკანი, ტრ. რამიშვილი, მარიამ საფ.-აბაშიძისა** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი), **ს. სალირაშვილი, ოლ. სვანიშვილისა, ნინო ჩხეიძე** (რესპუბლიკის სახალხო მსახიობი) **ა. ციმაკურიძე, ხომლელი, ლ. ძიძიგური, ან. წერეთლისა. ალ. წუწუნავა, მ. ჭიაურელი, ზ. ჭიჭინაძე, გ. ჯაბაური.**

საიუბილეო კომიტეტის მდივანი: **ა. ციხისთავი.**

ს ა ლ ა მ ი

სალამი, დიდი სალამი! —
მისძახის ჩემი კალამი:
ეყო „თეატრ და ცხოვრება“-ს
რაც ნახა სევდა-ვარამი:
თხუთმეტ წლიწადს გასწია
ცხოვრების მძიმე ჭაპანი:
თავი მზის გულზედ გამოჰყო.
არ გახდა მტრისა ჯაბანი.

უსურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს,
რომ ჰკაფოს ეკალ-ბარდები,
მტრები ეკლებზედ ააგოს,
მოყვასს მიუძღვნას ვარდები.
რაც იყო—იგივ იქნება,
სწორეთ გაჰყვება ლელოსა,
შეგნებულ მუშებს დაუზრდის
ჩვენს ტურფა საქართველოსა!..

გ. შინატეხელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორმა პაცმა შექმნა „თეატრი და ცხოვრება“

შესრულდა 15 წელიწადი „თეატრი და ცხოვრებისა“, რომელმაც დიდი ეკლიანი გზა განვლო; ამ ხნის განმავლობაში არა ერთხელ მიუციათ პასუხისგებაში მისი ხელმძღვანელი ამხ. იოსებ იმედაშვილი, რომელსაც თავისი სიცოცხლე ტანჯვაში, ვაებაში და სიღარიბეში გაუტარებია.

დიდი ენერგიული კაცი უნდა იყოს, ასეთ ტანჯვავაების დროს ხალისი არ დაკარგოს საზოგადო ასპარეზზე მუშაობისა, როდესაც ოჯახის წევრები უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან.

მე მახსოვს რამოდენიმე შემთხვევა, რომ სიტყვა წარმოეთქვა მონარქიული წესწყობილების წინააღმდეგ და წარბიც არ შაეხარნოს: 1903 წ. როდესაც ერთ უანგარო დაუღალავ მუშა ქალს ვმარხამდით წმ. ნინოს სასაფლაოზე, მიუხედავათ იმისა, რომ შეიარაღებული ყაზახები 10—15 კაცი გარშემორტყმული იყვენ, არ შედრკა და გაბედულათ ჩასძახა საფლავში: „შენს მცნებას და იდეას არ დავივიწყებთო,“ ამით ყველაფერი სთქვა იოსებმა და აკი ბოქაულის ბრძანებით ვინტოვკების სროლით გაგვიმასპინძლდენ.

დამყარდა თავისუფლება და ვიზეიმეთ. 1906 წ. შემთხვევით მოვხვდი სოფელს ხაშმზე, როდესაც შავრაზმელებმა მოკლეს ხაშმისა და პატარძეულის შუა თელაველი ახალგაზდა მუშა მებრძოლი, რომელიც დიდის გლოვით და ტირილით მოასვენეს ხაშმში; მაშინ ახალგაზრდა იოსების მართებულმა და ცეცხლიანმა სიტყვამ ქვასაც ამოაღებინა ხმა—ბრძოლის სურვილი გაათკეცა.

1911 წ. მეტეხის ციხეში დამწყვდეული იოსები, მატერიალურათ უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი, გულს არ იტეხდა: „ბიჭებო, ნუ გეშინიათ, გული ნუ გაგიტყდებათ, მომავალი ჩვენია“-ო.

იოსები იმ მუშაკთაგანია, რომელთაც ჩაუყარეს საძირკველი სახალხო სახლს „ავჭალის აუდიტორიაში“, რომელსაც უკვე 30 წ. იუბილეი უდღესასწაულეს.

როგორც მუშა მწერალს, რედაქტორს, უცხო სიტყვების ლექსიკონის შემდგენელს, დაბალი თეორიული განათლებით აღჭურვილს დიდი ღვაწლი და ენერგია დაუხარჯნია საზოგადოებისა და მუშათა წრისათვის. ვისაც უყვარს ერი და ყველაფერი, რაც ერს ხალხური აქვს, „თეატრი და ცხოვრების“ ზეიმს თავის ზეიმად ჩასთვლის, იოსების სიხარულს თავის სიხარულად. იცოცხლოს ჟურნალმა, იდღეგრძელოს მისმა ფოლადის ღერძმა იოსებ იმედაშვილმა.

ძველი მუშა **ვ. თევდორაშვილი**

მოგონებათა ფოთლები
(გ ა კ ვ რ ი თ)

I

1910 წ. მძიმე ხანა! რეაქცია!

კვნესა მშრომელ ხალხის! დამსხვრეული ბარიკადები! სისხლი!

სასამართლოს ქუჩა. მე გიმნაზიელი. მამასთან ერთად მიმავალი სასწავლებლისაკენ.

ორი დარაჯი. მოჰყავთ ტუსაღი,—ფერმკრთალი, დატანჯული.

—„იოსებ, შენ, საით?!.

—„დიახ. მეტეხში, ჩრდილოეთისკენ!“.

ღიმილით პასუხი იოსებისა.

—„Не полагается разговаривать с арестантами!!!

მოისმის ბოხი ხმა დარაჯისა.

II

1917 წ. მე რუსი ჟურნალისტი, გარუსებული, გადაგვარებული.

იოსებ იმედაშვილთან შეხვედრა. გაცნობა.

მის მიერ ჩემი შერცხვენა, გაქართველება.

პირველი ცდები ჟურნალში! სახელოვნო წერილები, სცენები, შენიშვნები,—ბავშური, თითქმის დილეტანტური,—ჩემის ფიქრით კი დიდებული.

წაქეზება. სწავლა.

მაესტრო—იოსებ იმედაშვილი, სკოლა—„თეატრი და ცხოვრება.“

III

1918 წ. ქართულ ოპერის იდეისთვის ბრძოლა. ფილარმონიული საზოგადოება, გადაგვარებული წრე.

საზოგადო კრება. ტრიბუნაზე იოსები. მქუხარე ხმა ხელოვნების დარაჯისა:

„ქართული ოპერა, ქართული მელპომენა.“

ოპოზიციის პასუხი: სიცილი, ხარხარი, სკეპტიციზმი.

იოსების ბრძოლა. იარაღი: ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება.“ ყუმბარები: „ქართველ მომღერალთა კავშირი,“ ქართველ კომპოზიტორთა მობილიზაცია, ქართულ საოპერო დროშის გაშლა!

პირველი მერცხალი: ქართული ოპერა „ქრისტინე.“

აპეოთეოზი: მტრების გადმოგვარება.

IV

სტამბა. მუშები. შუაღამე. მანქანების ხმაურობა.

კუნჭულში მიმჯდარი რედაქტორი, მუხლზე დაუკეცია ქაღალდი, სწერს აჩქარებული ხელით: ჟურნალის მოწინავეს.

V

რედაქცია. იოსები მუდმივ ღიმილით გახალისებული სწერს დიდ თემაზე წერილს.

შემოდის ბავში: დაღვრემილი, თავჩაღუნული:

—მამა... მამა... შინ პური არ გვაქვს, გვშია...

—შვილო!..

კალამი უვარდება რედაქტორს, რჩება დაუმთავრებელი წერილი.

VI

მიყრუებული სოფელი. მძვინვარებს ზამთარი, სუსხი.

ძაღლების ღმუილი. არსად სიცოცხლე, ყველგან მყუდროება.

შარა გზას მიმავალი მგზავრი ნაბდით,—გალურჯებული სახე ყინვისაგან: ხელში ჟურნალი და წიგნები—ხალხისკენ, მძინარ ხალხისკენ!

იოსები ჰქადაგებს თავისუფალ ხელოვნებას.

VII

ოცდაათ წელზე მეტი განუწყვეტელი ბრძოლა და შრომა!

აქედან ხუთმეტი წელი ჟურნალზე ზრუნვა. მუდმივ ქარ-ბუგში. მუდმივ ქარცეცხლში.

ციხე, ჩხრეკა, დევნა, შიმშილი, შევიწროება, ინტრიგა. შიგნით და გარეთ...

ბუნება შეჰხარის წითელ მზეს, ჟურნალი თავის დღეობას.

მშრომელი ხალხი დღესასწაულობს თავისუფალ ხელოვნებას

სენო წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ი ს ა ლ მ ე ბ ა

ჩვენი გულწრფელი სალამი ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს მისი 15 წლის იუბილეს გამო.

ამ ხნის განმავლობაში მან ჩაუყარა საძირკველი მუშათა შორის ხელოვნების სიყვარულს, მან ჩაუდგა სული ყველა მუშა სცენის მოყვარეს, გააცოცხლა—აუთამაშა ძარღვები, შეაყვარა სახალხო სცენა, გაათამამა, გაამხნევა და ჩაითრია ისინი თავის ფერხულში.

ამ ხნის განმავლობაში მან ბევრი საუკეთესო მუშა სცენის მოყვარე მოამზადა, რომლის წყალობითაც დღეს ჩვენი მუშათა კლუბები ჰყვავიან.. მის უკან ბევრი საუკეთესო რევოლიუციონერი იწვრთებოდა და აწარმოებდა აქტიურ მუშაობას მონარქიზმის დასამხობათ.

მისი დამაარსებელი ჭაღარა იოსები, სულის ჩამდგმელი მუშათა ხელოვნებისა, თავზე დასტრიალებდა მას, როგორც არწივი და უშიშრათ ებრძოდა ყოველივე დაბრკოლებებს, რაიც უშლიდნენ ხელს ჟურნალის არსებობას და გაღონიერებას.

აღფრთოვანებით ვეგებებით მის 15 წლის არსებობას და ვუსურვებთ მეტის ენერგიით განერგძოს თავისი მრავალმხრივი ნაყოფიერი მუშაობა.

სცენის მოყვარე **სერგო აუშტროვი.**

სალამი პროვინციიდან.



მათხოჯის სახალხო სახლი.

მათხოჯის სახალხო სახლი, რომლის გარუჯული კედლები დღეს სიკვდილს ებრძვის, ძველის ფასკუნჯივით ცეცხლში ჩაფერფლილი, კვლავ განახლება-აღდგენის გზაზე შემდგარი,—ესალმება ერის კულტურის თავდადებულ მოსარჩლე ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს და უსურვებს კვლავაც ნაყოფიერი მუშაობით მრავალ-ჟამიერ სიცოცხლეს.

ალმაშენებელი საჰ.

მთავლიტი № 799 ხელმძღვანელი: კოჯ ეგია რედაქტორ-გამომ. კომ. ლი: სარედ. კომისია. ტირ. 20
ბიბლიოგრაფიკული ტიპ. მე-4 სტასიონ, ლენინის ქუჩა № 3